გაზეთი ბევრის, „ვერსიის“ ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№138 (894) 27 - 29 დეკემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## ასტროლოგები სოჭის ოლიმპიადის ჩაშლას პროგნოზირებენ




რას მოუტანს 2014 წელი მსოფლიოს გვ. 9

## ექსკლუზიური ინტერვიუ TV3-ის დამფუძნებელ ლაშა ჩხენკელთან



ვინ არის ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის „ხუხაშვილი“, რატომ „დაძვრება“ ყველა ბიზნესში და რატომ უჩივლებს გიგი უგულავას გვ. 3-4



## ირაკლი შიხიაშვილი ნაციონალებს ამხელს

რატომ ურჩევს გიგი უგულავას პოლიტიკიდან წასვლას და რატომ ურიგებს ნაციონალ დეპუტატებს პრემიებს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გვ. 5

სამართალი

## არასაპატიმრო სასჯელები 72,5 პროცენტამდე გაიზარდა გვ. 6

„სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევა რთული, შენარჩუნება — მუდმივი პროცესია“ გვ. 7



## რატომ დამალეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა ინფორმაცია მთავარი პროკურორის ნასამართლეობის შესახებ გვ. 4

## დიმიტრი შაშკინი: „ახლა, ხელისუფლების სამიზნე მე ვარ“



რატომ დაიბარეს პროკურატურაში და როდის დააკავებენ საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრ დიმიტრი შაშკინს? გვ. 2

# დიმიტრი შაშკინი: „ახლა, ხელისუფლების სამიზნე მე ვარ“



## რატომ დაიბარეს პროკურატურაში და როდის დააკავებენ საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრ დიმიტრი შაშკინს?

საქართველოს სასჯელაღსრულების, შემდგომ განათლებისა და თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი რამდენიმე დღის წინ პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს. გავრცელებული ინფორმაციით, ის 26 მაისის საქმესთან დაკავშირებით მოწმის სტატუსით დაიკითხა. არადა, „ვერსიასთან“ საუბრისას, თავად **დიმიტრი შაშკინი** აღნიშნავს, რომ პროკურატურაში მისი დაბარების რეალური მიზეზები რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი: **„მოგეხსენებათ, სასამართლოში 26 მაისის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, ვანო მერაბიშვილის სასარგებლოდ ჩვენება მივეცი. პროკურატურამაც იგივე საქმეზე მოწმის სტატუსით დამკითხა, სადაც სასამართლოზე ნათქვამი კიდევ ერთხელ დავადასტურე. უცნაურია, ჩვენების მიცემის შემდეგ პროკურატურაში რომ დამიბარეს. ბუნებრივია, გარკვეული ვერსიები მაქვს, თუმცა მათი მიზანი, კონკრეტულად, რამდენიმე დღეში გაცხადდება. ჩანს, იმ ფონზე, როცა ვანო მერაბიშვილისა და ბაჩო ახალაიასგან მონსტრი ვერ შექმნეს, ზოგ-ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ჩემგან და მიხეილ სააკაშვილის ყოფილ მრჩეველ ბრუკმანისგან ახალი მონსტრები შექმნან. თუ სოციალურ მედიას თვალს გადავავლებთ, ხელისუფლების მხრიდან სწორედ ამ მიზნის ნიშნები იკვეთება. ცოტა ხნის წინ, სასჯელაღსრულების მინისტრმა, სოზარ სუბარმა ისიც ბრძანა, რომ პენიტენციალურ სისტემაში ყველაზე ცუდი ვითარება ჩემი მინისტრობის პერიოდში იყო. სუბარს შევახსენებ — მაშინ, როცა სასჯელაღსრულების სისტემას ვხელმძღვანელობდი, თვითონ ომბუდსმენი იყო და დასკვნებსაც თავად წერდა. ასე რომ, მსგავს ტყუილებს საზოგადოებას ვეღარ „აჭმევენ“.**

„ვერსიის“ კითხვაზე, აქვს თუ არა მოლოდინი, რომ, შესაძლოა, ვანო მერაბიშვილის, ბაჩო ახალაიასა და გიგი უგულავას შემდეგ მისი სისხლის სამართლის პასუხისგების საკითხიც დადგეს, დიმიტრი შაშკინი პასუხობს: **„არქანიას საქმე ჩემს მოღვაწეობასთან კავშირში არ არის — ამ პერიოდში სასჯელაღსრულების სისტემას არ ვხელმძღვანელობდი, თუმცა მსგავსი მეთოდებით ხელისუფლება საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებას ცდილობს. მმართველი გუნდის ერთ-ერთი სამიზნე ვარ, მაგრამ უახლოეს მომავალში დამაკავებენ თუ არა, წინასწარ ვერ ვიტყვი, ერთს კი დარწმუნებით მოგახსენებთ — ვანოსა და ბაჩოსგან მონსტრი ვერ შექმნეს, ჩემთანაც ვერაფერს გახდებიან“.**

*რუსუდან შელია*



## მთავარი პროკურატურა როლანდ ახალაიას ტყუილში ამხელს

საქართველოს მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, რომ როლანდ ახალაიას განცხადება, თითქოს სამეგრელოში მოღვაწე ბიზნესმენებმა ანაკლიის სანაპიროზე საპატრიარქოს მშენებლობისთვის შპს „სანის“ ანგარიშზე თანხები ნებაყოფლობით ჩარიცხეს, სინამდვილეს არ შეესაბამება: **„გამოძიებით დადგენილია, რომ როლანდ ახალაიასთან დაახლოებული პირის კუთვნილ შპს „სანის“ ანგარიშზე მნიშვნელოვანი თანხები არ ჩაირიცხა არა ნებაყოფლობით, არამედ როლანდ ახალაიას პირადი დაინტერესებით — შპს „სანის“ მიერ სარგებლის მიღების მიზნით, პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების წარმომადგენლებთან საპროცესო შეთანხმების მიღწევის სანაცვლოდ, რასაც, უშუალოდ, როლანდ ახალაია ახორციელებდა. ჩარიცხული თანხები შპს „სანის“ მიერ გახარჯულ იქნა საკუთარი კერძო ინტერესებისთვის და არა საპატრიარქოს რეზიდენციის ასაშენებლად. ამდენად, როლანდ ახალაიას მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ თანხების ჩაირიცხა ნებაყოფლობით და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, მოგონილია პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მიზნით“.**

*„პირველი“*



## საქართველო ევროკავშირისგან, დამატებით, 27 მლნ ევროს მიიღებს

შესაბამის შეთანხმებას ხელი მოაწერეს სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, ალექსი პეტრიაშვილმა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ფილიპ დიმიტროვმა.

ინიციატივა — „მეტი მეტისთვის“ — ევროკავშირის იმ პარტნიორი ქვეყნების დამატებითი ფინანსური რესურსებით მხარდაჭერას ითვალისწინებს, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს დემოკრატიული რეფორმების გატარების პროცესში. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობას სიღარიბის დაძლევისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხში.

თანხების ათვისება აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამის (EaPIC) მეშვეობით მოხდება, რომელიც საქართველოში პროფესიული განათლებისა და გადამზადების, ასევე დასაქმების კუთხით მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობას მოხმარდება.

27 მილიონი ევროდან, 20 მილიონი, საბიუჯეტო დახმარების სახით, პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტში იქნება მიმართული, ხოლო 7 მილიონი ტექნიკური/საექსპერტო დახმარების პროექტების განხორციელებას მოხმარდება.

საფინანსო შეთანხმების ხანგრძლიობა 5 წელია.

*„პირველი“*

## დაღუპული სამხედროების ოჯახის წევრებმა კომპენსაციის მისაღებად განცხადება პირველ იანვრამდე უნდა დაწერონ




ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული სამხედროების ოჯახის წევრებმა, ყოველთვიური კომპენსაციის მისაღებად, სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის პირველ იანვრამდე უნდა მიმართონ.

საქართველოს პარლამენტმა, მიმდინარე წლის 25 ივლისს, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ საქართველოს კანონში შეიტანა ცვლილება, რომლის თანახმად, საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს, 2014 წლის პირველი იანვრიდან დაენიშნებათ ყოველთვიური კომპენსაცია, რომლის ოდენობა 2014 წელს შეადგენს 500, ხოლო 2015 წლიდან 1000 ლარს.

აღნიშნული კომპენსაცია ოჯახისთვის განკუთვნილი ყოველთვიური სარგებელია, რომელიც გულისხმობს კომპენსაციის პროპორციულ განაწილებას გარდაცვლილის ოჯახის წევრებს (მშობლები, მეუღლე, შვილები 18 წლის ასაკის მიღწევამდე, შრომისუუნარო შვილები, ასაკის მიუხედავად) შორის.

კომპენსაციის მიღების უფლების მქონე ყველა პირმა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის პირველ იანვრამდე განცხადებით უნდა მიმართოს.

*„ინტერპრესნიუსი“*

## „ტექდათვალიერება“ წელიწადნახევრით გადავადდება

ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის მსუბუქი მანქანების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო ტესტირება, ე.წ. ტექდათვალიერება დაახლოებით წელიწადნახევრით გადავადდება.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის გათვალისწინებით, 2014 წლის პირელი იანვრიდან ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალება სავალდებულო პერიოდულ ტესტირებას უნდა დაექვემდებაროს. მთავრობის ინიციატივით კი, პარლამენტს დაჩქარებული წესით მისაღებად წარედგინა კანონპროექტი, რომელიც გარკვეული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების გარდა, სავალდებულო ტექდათვალიერების 2015 წლის პირველ მარტამდე გადაწევას ითვალისწინებს.

ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით, გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო ტესტირებას ექვემდებარება და 2015 წლის პირველ მარტამდეც დაექვემდებარება ის სატრასპორტო საშუალებები, რომლებიც ახორციელებენ ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას, საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვას, სახიფათო ტვირთის გადაზიდვას და რომელითაც სამი ტონა და მეტი ტვირთამწეობა გააჩნიათ.

ტექდათვალიერებაზე ვადის გადაწევის ინიციატივა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოამზადა, რომელიც განმარტავს, რომ ამ ეტაპისთვის ყველა სატრანსპორტო საშუალების სავალდებულო ტესტირება შეუძლებელია.



მაია მიშელაძე
593-51-90-12

# ექსკლუზიური ინტერვიუ TV3-ის დამფუძნებელ ლაშა ჩხენკელთან



## ვინ არის ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის „ხუხაშვილი“, რატომ „ძაძვრება“ ყველა ბიზნესში და რატომ უჩივლებს გიგი უგულავას

**ტელეკომპანია TV3-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და არხის გენერალურმა დირექტორმა, კახა ბაინდურაშვილმა 25 დეკემბერს საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მიზეზი შანტაჟისა და ზეწოლის ის ფაქტებია, რასაც გიგი უგულავა და ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები ტელეკომპანიის წინააღმდეგ მიმართავენ. გიგი უგულავას განცხადებით, ტელეკომპანია TV3-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი ლაშა ჩხენკელი, მისი ძმა — აკაკი ჩხენკელი, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილის თანაშემწეა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელი ჯანყარაშვილი, მის წინააღმდეგ, სასამართლოზე ზეწოლას ახდენენ. უგულავა ამბობს, რომ ლაშა ჩხენკელი ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის „ხუხაშვილია“, რომელიც ყველა ბიზნესში „ძაძვრება“ და ხელებს აფათურებს. კახა ბაინდურაშვილი ამას თავისუფალ მედიაზე ზეწოლად აფასებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიასაშუალებებსა და დიპლომატიურ კორპუსს მოუწოდებს, ამ საკითხით დაინტერესდნენ.**

### ნაციონალები ევროპალატის დირექტორთა საბჭოს წინააღმდეგ?!

კახა ბაინდურაშვილი და ამავე ტელეკომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მისი ბიზნესპარტნიორი ლაშა ჩხენკელი, პარალელურად, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელები არიან. ბაინდურაშვილი პალატის პრეზიდენტი, ხოლო ჩხენკელი პირველი ვიცე-პრეზიდენტია. 2013 წელს, პირველად საქართველოს ისტორიაში, სავაჭრო-სამრეწველო პალატა ევროპალატის წევრი გახდა, ხოლო კახა ბაინდურაშვილი და ლაშა ჩხენკელი ევროპალატის დირექტორთა საბჭოს წევრები არიან: **„ეს ორგანიზაცია ევროპასთან ასოცირებული მნიშვნელოვანი ბიზნესსტრუქტურაა, რომელიც საქართველოს ეკონომიკაში, ბიზნესსა და მედიაში მიმდინარე პროცესებს თვალ-ყურს ადევნებს. ჩვენ აუცილებლად შევატყობინებთ ევროპალატას იმ ზეწოლისა თუ მუქარის ფაქტებს, რასაც ბოლო დროს, ჩვენს მიმართ ავლენს ნაციონალური მოძრაობა. გარდა ამისა, თუ სამართალდამცავი სტრუქტურები დაინტერესდებიან, მზად ვართ, ვითანამშრომლოთ და გადავცეთ ფაქტობრივი მტკიცებულებები. ეს კამპანია დამფუძნებლებს ზიანს აყენებს, როგორც კომერციული, ასევე მორალური თვალსაზრისით, ამიტომ დამფუძნებლები სასამართლოს წესით მოვითხოვთ ამ ზიანის ანაზღაურებას და, შესაბამისად, სამოქალაქო სარჩელსაც ვამზადებთ“.**

კახა ბაინდურაშვილმა იმ მიზეზებზეც ისაუბრა, რის გამოც თბილისის აწუკვე უფელბაშეჩერებული მერი გიგი უგულავა, ასევე ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები, მათ შორის, გიორგი ვაშაძე, ირმა ნადირაშვილი და გივი თარგამაძე ტელეკომპანია TV3-ის დამფუძნებელს, ლაშა ჩხენკელს დაუპირისპირდნენ. ყველაფერი ავტობუსების ტენდერით დაიწყო, რომელიც თბილისის მერიამ საპრეზიდენტო არჩევნების წინ გამოაცხადა. ეს იყო 55 000 000-ლარიანი ტენდერი, რომლის ფარგლებშიც, გამარჯვებულ კომპანიას 100 ერთეული ავტობუსი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის უნდა შეეძინა. ტენდერში მონაწილეობდა ბიზნესმენი ავთო საყვარელიძე, რომელსაც, თავის დროზე, „ვაგონშემკეთებელი ქარხანა“ წაართვეს. სხვათა შორის, საყვარელიძეს იდეა ჰქონდა, თბილისში ავტობუსების ასაწყობი ქარხანა აეშენებინა, სადაც 500-მდე ადამიანს დაასაქმებდა, მაგრამ დედაქალაქის მერიის ხელმძღვანელობამ უარი უთხრა. მოკლედ, თბილისის მერიამ 55 000 000-ლარიანი ტენდერი გამოაცხადა, რომელშიც ქართულ-ჩინურმა კომპანია „გოლდენ დრაგონმა“ გაიმარჯვა. სწორედ ამ კომპანიის წარმომადგენელია ავთო საყვარელიძე და მიუხედავად იმისა, რომ სატენდერო კომისიას 16 000 000 ლარით ნაკლები შესთავაზა, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისის ბიუჯეტი სწორედ ამ რაოდენობის თანხას დაზოგავდა, გამარჯვებულ კომპანიას დისკვალიფიკაცია მიანიჭეს. ამის შემდეგ, ავთო საყვარელიძემ მიმართა სახელმწიფო შესყიდვების შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას, ასევე სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და საგამოძიებო სტუდია „ანატომიის“ დამფუძნებელს, ნათია მიქიაშვილს. კახა ბაინდურაშვილის თქმით, გიგი უგულავასა და ტელეკომპანიის დამფუძნებლებს შორის პრობლემა ამის შემდეგ გამწვავდა: **„ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ნათია მიქიაშვილი ტელეკომპანიის თანამშრომელი არ არის. მას აქვს დამოუკიდებელი საგამოძიებო სტუდია „ანატომია“, ხელშეკრულება კი მის სტუდიასა და ტელეკომპანიას შორის გაფორმდა. მას შემდეგ, რაც ავთო საყვარელიძემ მიმართა, ბუნებრივია, სტუდია „ანატომია“ თბილისის მერიის ტენდერებით დაინტერესდა. ძიების პროცესში დადგინდა, რომ ავტობუსების ტენდერის პირობები ერთ კონკრეტულ კომპანიაზე იყო მორგებული, მაგალითად, ტენდერში მონაწილე კომპანიას თბილისში 100 ერთეული, მწვანე ფერის ავტობუსები უნდა შეეძინა. ნათია მიქიაშვილმა მიაკვლია, რომ კომპანიას, რომელიც ტენდერში მონაწილეობდა, მწვანე ფერის ავტობუსები ჰყავდა ჩამოყვანილი. როგორც უკვე გითხარით, ამის მიუხედავად, ტენდერში მაინც ავთო საყვარელიძის ქართულ-ჩინურმა კომპანიამ გაიმარჯვა, რომელიც ტენდერიდან უკანონოდ მოხსნეს. რაც შეეხება პალატას, კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს, რომ ბიზნესსა და მთავრობას შორის დიალოგს, სწორედ ამ ორგანიზაციამ უნდა შეუწყოს ხელი. როგორც ჩანს, თბილისის მერიაში ვერ აიტანეს, 16 000 000 ლარს რომ კარგავდნენ და ჩვენს წინააღმდეგ ბინძური კამპანია აგორდა. ვიდრე უფლებამოსილებას შეუჩერებდნენ, თბილისის მერმა სასამართლოს ეზოში, ჯერ TV3-ის მიკროფონის ძებნა დაიწყო, შემდეგ კი, ტელეკომპანიის დამფუძნებელი ლაშა ჩხენკელი ლამის ბანდიტური დაჯგუფების წევრად მოიხსენია, რომელსაც მისი დაპატიმრების სურვილი აქვს“.**

კახა ბაინდურაშვილის თქმით, ამ ბინძურ კამპანიაში სრულიად ნაციონალური მოძრაობა ჩაერთო. გიგი უგულავას შემდეგ, ტელეკომპანიის მისამართით შეურაცხმყოფელი განცხადებები გააკეთეს გიორგი ვაშაძემ, ირმა ნადირაშვილმა და გივი თარგამაძემ, აქცენტი კი ლაშა ჩხენკელზე კეთდება, რომელიც გიგი უგულავას წინააღმდეგ მართული პროცესებითაა დაინტერესებული. „ვერსიის“ კითხვებს **კახა ბაინდურაშვილი** პასუხობს:

— **ბატონო კახა, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ფინანსთა მინისტრი იყავით. არ მახსენდება, რომ ამ პარტიასთან პრობლემა გქონოდათ. პირადად თქვენ რატომ დაგიპირისპირდნენ ნაციონალები?**

— პრობლემები შემქმნია თუ არა, სხვა თემაა. დღეს შექმნილი პრობლემა მე, ან ლაშა ჩხენკელს, პერსონალურად არ გვიკავშირდება. ერთ შემთხვევაში, ესაა ვიწრო მერკანტილური ინტერესი, როდესაც დაგეგმილი იყო ტენდერი, რომლის მოგების შანსი ერთ კონკრეტულ კომპანიას ჰქონდა, თუმცა გამოჩნდა მეორე კომპანია, რომელმაც, რეალურად, მოიგო ტენდერი და მისი წინადადების შედეგად, თბილისის ბიუჯეტს 16 000 000 ლარი უნდა დაეზოგა. ამ ვითარებაში იმიტომ გაგვრიეს, რომ სავაჭრო-სამრეწველო პალატა აწარმოებდა დიალოგს ხელისუფლებასა და ინვესტორს შორის. ჩვენი ჩარევის შემდეგ, პროცესი ტრანსფარანტულად წარიმართა და როგორც ჩანს, ეს არ მოეწონათ, რადგან შემცირდა რისკი, რომ ვიღაცას ტენდერის პირობებში ხელების ფათური დაეწყო.

— **რა კომერციული ინტერესი შეიძლება ჰქონოდა თბილისის მერს?**

— არ მინდა, უდანაშაულობის პრეზუმპცია დავარღვიო და ამ თემით სპეკულირება დავიწყო, მაგრამ პალატის ხელმძღვანელებმა ვიცით, რომ ეს იყო ტენდერი, სადაც გაიმარჯვა ქართულ-ჩინურმა კომპანია „გოლდენ დრაგონმა“. როგორც გითხარით, ამ კომპანიამ 16 000 000 ლარით ნაკლები შესთავაზა მერიას და როგორც ჩანს, სწორედ ამ თანხის დაკარგვაა მიზეზი. ვფიქრობ, ამ ფაქტით სამართალდამცველები დაინტერესდებიან.

პრესკონფერენციას საარჩევნო და პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, **კახი კახიშვილიც** ესწრებოდა, რომელმაც „ვერსიას“ განუცხადა, რომ ოპოზიციაში მყოფ ნაციონალურ მოძრაობას ჯერ კიდევ აქვს ბერკეტი, რათა ტელეკომპანიის დისკრედიტაცია განახორციელოს: **„საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში არსებობს მაგალითები, როდესაც ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას უკავშირდება კონკრეტული ტელეარხების გაძლიერება, მათი საშუალებით ხელისუფლებაში მოსვლა, ხოლო ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, არხების დახურვა, ასევე რამდენიმე არხის გაძლიერება და დანარჩენების მარგინალიზება. მომხრე არ ვარ, ჩავეძიოთ, რომელი ტელევიზიის უკან, რომელი ბიზნესჯგუფი დგას. მთავარია, ტელევიზიამ საკუთარი ამოცანა შეასრულოს და საზოგადოებას დაბალანსებული ინფორმაცია მიაწოდოს“.**

კახა ბაინდურაშვილის პრესკონფერენციის შემდეგ, საქართველოს პროკურატურამ საგანგებო განცხადებაში აღნიშნა, რომ საკითხით უწყება დაინტერესდება.

### ექსკლუზიური ინტერვიუ ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის „რუხ კარდინალთან“

**ვის უწოდა გიგი უგულავამ ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის „ხუხაშვილი“? ვინ არის ლაშა ჩხენკელი, რომელსაც ნაციონალური მოძრაობის კულუარებში „რუხ კარდინალად“ მოიხსენიებენ? ამ კითხვებზე პასუხებს „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, თავად ლაშა ჩხენკელისგან შეიტყობთ.**

— ჩვენი ეთერი ყოველთვის ღია იყო ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის, მათ შორის, გიგი უგულავასთვისაც, რომელიც ყველაზე მეტჯერაა ნამყოფი ჩვენთან. არავითარი შეზღუდვა არ ჰქონია არც მას და არც სხვა რომელიმე პოლიტიკოსს, რომელსაც აზრის თავისუფლად გამოხატვის სურვილი ჰქონდა. შანტაჟი და მუქარა მრავალი მიმართულებით მიმდინარეობდა და დიდი ხნის წინ დაიწყო. დაახლოებით ერთი თვის წინ, კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ უსაფუძვლოდ, ყოველგვარი განხილვის გარეშე შეაჩერა ჩვენი რადიოს ლიცენზია. ამის შემდეგ გადაწყვეტილება გამოგვიგზავნეს და კომისიაში განხილვა დანიშნეს. არადა, გაუგებარი იყო, რაღა უნდა განეხილათ, რადგან ლიცენზიის შეჩერების შესახებ, გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდათ. ახლა რომ ვაანალიზებთ, ეს იყო მიზანმიმართული და ბინძური კამპანია თავისუფალი მედიის წინააღმდეგ. მარეგულირებელი კომისიის წევრებს სასამართლოში მოუწევთ იმის დადასტურება, რატომ შეგვიჩერეს ლიცენზია ყოვლად უსაფუძვლოდ! რეალურად, რადიოსიხშირის ლიცენზიის შეჩერება საფრთხეს უქმნის ტელეკომპანიის ლიცენზიასაც.

— **კონკრეტულად, რას გულისხმობთ?**

— თუ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე სხვა მედიასაშუალებები ახლა ჩვენს გვერდით არ დადგებიან და თავისუფალ მედიას არ დაიცავენ, ვხედავ საშიშროებას, რადიოს შემდეგ, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია ტელეკომპანიის ლიცენზიასაც შეგვიჩერებს.

— **მედიაბიზნესში როგორ აღმოჩნდით?**

— ტელევიზიაც ისეთივე ჩვეულებრივი ბიზნესია ჩემთვის, როგორც სხვა რომელიმე სფერო. როდესაც ტელეკომპანიების საქმიანობას გავეცანი, საინტერესოდ მომეჩვენა, ტელევიზია გაგვეკეთებინა. ჩვენი მცდელობა და სურვილი ახლაც ისაა, პირველი ბიზნესტელევიზია შევქმნათ საქართველოში. ეს ჩვეულებრივი ბიზნესპროექტია, ტელევიზია და რადიო ისეთივე ბიზნესია, როგორც, მაგალითად, საწარმო, რომელსაც სწორი მართვის შემთხვევაში, წარმატებულ ბიზნესად აქცევ.

— **როცა TV3 იქმნებოდა, „ვერსიაში“ ვწერდით, რომ საქართველოში „ბლუმბერგის“ ანალოგი, ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების ტელევიზია დაიწყებდა ფუნქციონირებას, მაგრამ ეთერში პოლიტიკური თოქ-შოუებითა და ჩვეულებრივი საინფორმაციო გამოშვებით გახვედით, თითქოს მიმართულება შეცვალეთ. გარკვეულწილად, ესეც ხომ არ არის სკანდალის მიზეზი?**

— მართლაც გვინდა, საქართველოში „ბლუმბერგის“ ანალოგი ტელეკომპანია გვქონდეს, მაგრამ ეს ზეწოლა მხოლოდ ამის ბრალი არ არის. ტელეკომპანიაში 250 ადამიანია დასაქმებული და მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილება იქნება თუ რიგი პოლიტიკოსების განცხადებები, ისინი მუდმივად სტრესულ მდგომარეობაში მუშაობენ. 2014 წლის იანვრიდან, სრული დატვირთვით გავალთ ეთერში, ძირითად მიმართულებად კი, ისევ ბიზნესი იქნება. რაც შეეხება კითხვას — ბიზნესი და პოლიტიკა განუყოფელია, ვერ გაიმიჯნება, რადგან ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ბიზნესზე აისახება, თუმცა ეს არ არის მთავარი, TV3-ის არსი ბიზნესტელევიზიაა.

— **გიგი უგულავას აინტერესებს, ვინ არის ლაშა ჩხენკელი, საზოგადოებასაც აინტერესებს, რა გზა გაიარეთ მედიაბიზნესამდე და, ზოგადად, რა გამოცდილება გაქვთ ბიზნესში?**

**— ჩემი ბიზნესგზა წინა საუკუნეში, ვარდების რევოლუციამდე ბევრად ადრე დაიწყო. ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე საჯარო მოხელე გავხდებოდი, უძრავი ქონების კომპანიას ვფლობდი. საჯარო სამსახურს რაც შეეხება, თბილისის მერიასა და დედაქალაქის საგადასახადო ინსპექციაში ვმუშაობდი. 2007 წლიდან, რაც საჯარო სამსახური დავტოვე, ბიზნესსაქმიანობაში ჩავერთე და, ძირითადად, უკრაინასა და სომხეთში ვმუშაობდი, თუმცა ბიზნესის ნაწილი საქართველოშიც მქონდა.**

*დასასრული მე-4 გვერდზე*

# რატომ დამალეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა ინფორმაცია მთავარი პროკურორის ნასამართლეობის შესახებ



რუსუდან შელია
557-100-768

**რა მიზნით მალავდნენ ოთარ ფარცხალაძის ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და რატომ ვერ განვითარდა საქართველოში სამოქალაქო სექტორი? რა დამსახურებებისთვის დაწინაურდა ამჟამინდელი მთავარი პროკურორი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში და რატომ არ მოწმდებოდა მისი პირადი საქმე? — „ვერსიის“ კითხვებს პოლიტოლოგი გია ნოდია პასუხობს.**

— სანამ ოთარ ფარცხალაძე მთავარი პროკურორი გახდებოდა, მის სახელს მინარეთის სკანდალი და საქართველოში რასმუსენის ვიზიტის დღეს, მერიის თანამშრომლების დაკავება უკავშირდებოდა, თუმცა ეს ფაქტები არაფერია ბოლო ორ სკანდალთან შედარებით — ვანო მერაბიშვილის განცხადებასა და მისი ნასამართლეობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ვგულისხმობ. შესაძლოა, სახელმწიფოს შეცდომა გაეპაროს და თანამდებობაზე კრიმინალური წარსულის მქონე პირი დაინიშნოს, მაგრამ ხელისუფლების პოზიციას — ვიცით, მთავარი პროკურორი ყაჩაღი რომ იყო, თუმცა დანაშაულს ვადა გაუვიდაო — გამართლება არ აქვს.

**— თავის დროზე, ოთარ ფარცხალაძე ფინანსურ პოლიციაში ნაციონალურმა მოძრაობამ დააწინაურა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რეფორმის სახელით, ძალოვანი სტრუქტურებიდან ბევრი თანამშრომელი გაათავისუფლეს. ფარცხალაძის დიპლომითა და ბეგრაუნდით რატომ არავინ დაინტერესდა?**

— დიახ, ეს სკანდალი ნაციონალურ მოძრაობასაც ეხება, რადგან წინა ხელისუფლების პირობებში, ფინანსურ პოლიციაში საკმაოდ წარმატებული კარიერა აიწყო. არ ვიცი, ეს როგორ და რატომ მოხდა, მაგრამ ამ ფაქტს ნაციონალები ვერ უარყოფენ.

**— იქნებ ფარცხალაძის პირადი საქმე იმის გამო ჩაიფარცხა, რომ ნაციონალებს მსგავსი კადრები ე.წ. შავი საქმეების შესასრულებლად სჭირდებოდათ?**

— სავარაუდოდ, ოთარ ფარცხალაძე კარგი „შემსრულებელია“ და თუ დავალებას მისცემ, ადამიანების ბოლომდე მიჯირყვნა შეუძლია, რისი პრაქტიკაც, წინა ხელისუფლების დროს, მართლაც, არსებობდა. ფარცხალაძის მსგავსი პიროვნების ფინანსურ პოლიციაში დაწინაურება უფრო დამაჯერებელს ხდის ბრალდებებს, რომ ნაციონალური მოძრაობა ბიზნესმენებზე ზეწოლას ახორციელებდა. ფაქტი ფაქტად რჩება, თუმცა ეს პარტია ახლა მთავარი ოპოზიციური ძალაა წარმოადგენს და ხელისუფლების კრიტიკა მათი მოვალეობაა.

**— ნაციონალური მოძრაობა მსგავს შოუებს პერიოდულად გვთავაზობს — ჯერ თეა წულუკიანის დიპლომი გახდა საეჭვო, შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილის სორბონაში მიღებული განათლება. პარტიის წევრები მინისტრებს საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივრის შეტანით ემუქრებოდნენ, თუმცა ეს მუქარაც არ შესრულდა...**

— ირაკლი ღარიბაშვილს დიპლომი აქვს, შემდეგ ითქვა, რომ სორბონაში ნამყოფია. შესაბამისად, გაჩნდა ლოგიკური კითხვა — რა სტატუსით იმყოფებოდა ამჟამინდელი პრემიერი საფრანგეთის ამ სასწავლებელში? თეა წულუკიანის შემთხვევა უფრო სკანდალური იყო, რადგან, ფორმალურად, მას იუსტიციის მინისტრის თანამდებობის დაკავების უფლება არ ჰქონდა, თუმცა უმრავლესობამ კანონი შეცვალა და წულუკიანს მოარგო. ეჭვი არავის ეპარება, რომ წულუკიანი იურისტის დიპლომის მყიდველ თანამდებობის პირებზე ბევრად განათლებულია, თუმცა კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს. რაც შეეხება ფარცხალაძეს, როგორც ცნობილია, უნივერსიტეტი 19 წლის ასაკში დაამთავრა, გამოდის, ვუნდერკინდი იყო და გაუგებარია, უცნობ უნივერსიტეტში რატომ ჩააბარა?!

**— განათლების ყოფილ მინისტრს არ გაქვთ ინფორმაცია, არსებობს თუ არა შეზღუდვეები ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის დასაწყებად გაურკვეველი უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის?**

— როგორც თავად ფარცხალაძე ამბობს, უნივერსიტეტი 1995 წელს დაამთავრა. 90-იან წლებში ამ მიმართულებით სრული განუკითხაობა იყო და ნებისმიერ სოფელსა თუ ქალაქში, ყოველგვარი კრიტერიუმისა თუ სტანდარტის დარღვევით, უმაღლესი სასწავლებლის გახსნა ნებისმიერ ადამიანს შეეძლო. ამ პერიოდში განათლების ხარისხის კონტროლზე საუბარიც კი ზედმეტი იყო. ფარცხალაძის მიერ დამთავრებული უნივერსიტეტიც ერთ-ერთია იმ მრავალ სასწავლებელთაგან, რომელთაც „დიპლომის ქარხნებს“ ეძახდნენ. მაშინ დიპლომის მიღება წერა-კითხვის მეტნაკლებად მცოდნესაც შეეძლო. რეალობა ისაა, რომ 90-იანი წლების დიპლომი არაფერს ნიშნავს, თუმცა ფარცხალაძის შემთხვევაში, მხოლოდ დიპლომი არ გახდა პრობლემა, ის ნასამართლევიცაა. ნასამართლევი ადამიანისთვის ცხოვრება არ მთავრდება და მას მუშაობის საშუალებაც უნდა ჰქონდეს, მაგრამ მთავარ პროკურორს კანონიერების უზრუნველყოფა ევალება და ეს კრიმინალში მხილებულმა ადამიანმა როგორ უნდა შეძლოს, გაუგებარია!

**— ამ ვითარებაში, გაუგებარია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელისა და ჟურნალისტ ნინო ზურიაშვილის განცხადებები, რომლებსაც ფარცხალაძის ნასამართლეობის შესახებ ინფორმაცია თურმე ორი თვით ადრე ჰქონდათ. უნდა გაესაჯაროებინათ ეს ინფორმაცია?**

— მათი ნაწილობრივ მესმის, შესაძლოა, დაუზუსტებელი ინფორმაციის გამჟღავნება არ სურდათ, თუმცა, როცა მსგავსი ტიპის ინფორმაცია გაქვს, საზოგადოების წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობაც უნდა გაითვალისწინო, მით უმეტეს, როცა საუბარია მთავარი პროკურორის ყაჩაღურ გამოცდილებაზე — საზოგადოება იმსახურებს, ამის შესახებ ეჭვის დონეზე მაინც იყოს ინფორმირებული, მაგრამ, სამწუხაროდ, სამოქალაქო სექტორმა საზოგადოების წინაშე აღებული პასუხისმგებლობა ვერ გაიაზრა.

**— მაშინ რა არის მიზეზი, რომ სამოქალაქო სექტორი, ხელისუფლების გაკონტროლების ნაცვლად, საკუთარ მოვალეობებს ივიწყებს და თანამდებობის პირებზე ინფორმაციის გახმაურებასაც ერიდება?**

— სამოქალაქო სექტორს პრობლემები ყველა ხელისუფლების პირობებში ჰქონდა. მუდმივად აქვთ შიში, რომ პოლიტიკურ მიკერძოებას დააბრალებენ, სინამდვილეში კი, უკვე არიან მიკერძოებულები; კერძოდ, წინა ხელისუფლებასთან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საკმაოდ ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ, „ქართულ ოცნებაში“ კი ამ ადამიანებს მეგობრები ჰყავთ, ამიტომ მმართველ გუნდს გაცილებით ფრთხილად აკრიტიკებენ. ერთ მაგალითს გავიხსენებ: სანამ დავით დარახველიძე ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად დაინიშნებოდა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მას ქსენოფობიურ განცხადებებს ახსენებდნენ და ამბობდნენ, რომ მსგავსი ღირებულებების მქონე პირის თანამდებობაზე დანიშვნა გაუმართლებელია. რამდენიმე დღეში დარახველიძე ყველა მათგანს შეხვდა და სამოქალაქო სექტორმაც კრიტიკა შეწყვიტა მხოლოდ იმის გამო, რომ მინისტრმა დააფასა და მოუსმინა.

**— არჩევნებში დამარცხებული ნაციონალები აღიარებენ, რომ მათი მთავარი შეცდომა სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობის არარსებობა იყო. არასამთავრობო სექტორთან „მეგობრობით“ „ქართული ოცნებაც“ იგივე წრეზე ხომ არ მიდის?**

— ნაციონალური მოძრაობის აღიარებას მეც ვიზიარებ. სამოქალაქო სექტორის მიმართ არასათანადო დამოკიდებულება, მართლაც, დიდი შეცდომა იყო, მაგრამ ნაციონალებს კრიტიკის მოსმენა დისკომფორტს უქმნიდა და შენიშვნებსაც გაურბოდნენ. ნაწილი ფიქრობდა, რომ სამოქალაქო სექტორი მხოლოდ გრანტებისამღებ პატარა ორგანიზაციებს გულისხმობს, რომლებიც, სინამდვილეში, საზოგადოებას არ წარმოადგენენ. ამ მიმართულებით „ქართული ოცნება“ უფრო ჭკვიანურად იქცევა და სამოქალაქო სექტორს ისე ეპყრობა, როგორც ჭირვეულ ქალს, რომელიც მოფერების შემთხვევაში, მნიშვნელოვან საკითხებზე წინააღმდეგობას არ უწევს. ამიტომ არ იჩქარეს ზოგიერთებმა ფარცხალაძის ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის გახმაურება და ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, გარკვეულ ფარისევლობასთანაც გვაქვს საქმე.

**— ხელისუფლებასთან ფარისევლობით სამოქალაქო სექტორი რას იგებს — ფინანსური პრობლემების მოგვარების მოლოდინი აქვს, ან თქვენ რატომ იცილებთ პასუხისმგებლობას და პარლამენტში მთავრობის დანიშვნის სხდომას კოლეგებთან ერთად რატომ არ ესწრებოდით?**

— ჩვენი ორგანიზაცია არ არის ექსტრემალური მოთხოვნებისა და ქმედებების მომხრე — ძირითადად, კვლევებით ვართ დაკავებულნი, დანარჩენების მაგივრად კი ვერ ვისაუბრებ. ზოგადად, სამოქალაქო სექტორს ფინანსური პრობლემა ყოველთვის აქვს. პრეზიდენტის მილიონიანი ფონდის ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციებზე გადავანაწილეთ, მაგრამ მათი რიცხვი იმდენად დიდია, მსგავსი ერთჯერადი დახმარება ზღვაში წვეთი იყო. საქართველოში „ვარსკვლავის“ სტატუსის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებიც არსებობენ, სადაც, მართლაც, პროფესიონალები მუშაობენ, თუმცა მათი ფინანსური მდგომარეობა დროებითია. მაქსიმუმ სამწლიანი გრანტი არსებობს — ფინანსურად როგორი მომავალი ექნებათ, არ იციან და ამიტომ მათი მერყეობა, უმეტესად, ფულის შოვნაზე ზედმეტი დამოკიდებულებით აიხსნება.

## ექსკლუზიური ინტერვიუ TV3-ის დამფუძნებელ ლაშა ჩხენკელთან

*მე-3 გვერდიდან*

**— საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან რა ურთიერთობა გაქვთ — ნათესავია, ახლობელი, თუ მეგობარი?**

— ნათესავი ნამდვილად არ არის, მას მხოლოდ სამსახურიდან გამომდინარე, ვიცნობ. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ვარ, შესაბამისად, მთავრობასთან და, არა მარტო ბატონ ირაკლისთან, არამედ ეკონომიკური ბლოკის ყველა მინისტრთან ინტენსიური ურთიერთობა და კონსულტაციები მაქვს. ვცდილობ, მაქსიმალურად მივაწვდინო ხმა ქვეყნის ბიზნესსაზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე.

**— მაშინ, საიდან გაჩნდა ინფორმაცია, რომ TV3 ირაკლი ღარიბაშვილის ტელევიზიაა?**

— ესეც მიზანმიმართული, სწორად და კარგად დაგეგმილი პიარის ნაწილია. ახლა ვაანალიზებ, ნაციონალურ მოძრაობაში რამდენიმე ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები ნამდვილად დასაფასებელია...

**— გულისხმობთ, რომ ეს ინფორმაცია გიგი უგულავასა და გივი თარგამაძის ერთობლივი პროდუქტია?**

— ეს ბევრად ჭკვიანი ადამიანის დალაგებულია და არ მგონია, მათი მოფიქრებული იყოს, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში, მიზანმიმართულად დაგეგმილი სცენარია, რომელსაც ახლა უგულავა და თარგამაძე ახორციელებენ.

**— ეს ინფორმაცია იმიტომ ხომ არ გავრცელდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა თქვენი ძმა — აკაკი ჩხენკელი, კანცელარიის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელად დანიშნა?**

— ჩემი ძმა შევარდნაძის ხელისუფლებაშიც და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგაც, საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი იყო. მან სერიოზული განათლება მიიღო გერმანიაში, იტალიასა და ამერიკაში. მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალია და, შესაბამისად, მისი დანიშვნა გასაკვირი არ არის.

**— მიგაჩნიათ, რომ ნაციონალების აგორებულ სკანდალში, თქვენი ძმის დანიშვნასა და იმ ფაქტს შორის, რომ ტელევიზიის ერთ-ერთი მფლობელი ხართ, უბრალო დამთხვევაა?**

— არა, რადგან კონკრეტული შანტაჟისა და მუქარის ფაქტები არსებობს, რასაც დაინტერესების შემთხვევაში, სამართალდამცავ ორგანოებში წარვადგენთ. ეს ვარაუდი ან ყავაზე მკითხაობა კი არა, კონკრეტული, დადასტურებული ფაქტებია. საზოგადოებას მიეცემა საშუალება, რეალურად დაინახოს, რა პროცესები მიმდინარეობდა ან რა ზეწოლისა და მუქარის ქვეშ აგრძელებდა ტელეკომპანია მუშაობას. ბოლო დროს, ყველაფერმა კამპანიური ხასიათი მიიღო და ამ პროცესში, მთელი ნაციონალური მოძრაობა ჩაერთო.

**— გიგი უგულავამ ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის „ხუხაშვილი“ და „რუხი კარდინალი“ გიწოდათ...**

— ხუხაშვილს რატომ შემადარა, არ ვიცი. ეს გიგის ჰკითხეთ, მაგრამ არ მიკვირს, რომ უგულავასთვის კანონმდებლობა უცნობია. მას, თავის დროზე, სავაჭრო პალატის შესახებ კანონი რომ წაეკითხა, ასეთ განცხადებას არ გააკეთებდა. სავაჭრო პალატის უფლება-მოვალეობები კანონითაა განსაზღვრული, სადაც პირდაპირ წერია, რომ ძირითადი ფუნქცია ბიზნესთან ურთიერთობა, ბიზნესის ინტერესების დაცვა, ასევე ბიზნესსა და მთავრობას შორის მედიაციაა. შესაბამისად, ამაზე კომენტარიც კი უხერხულია, რადგან ეს, უბრალოდ, კანონის უცოდინრობაა. გიმეორებთ, არ მიკვირს, რადგან მათი მმართველობის 9 წლის განმავლობაში, სავაჭრო პალატა დისკრედიტირებული იყო. დასავლური პრაქტიკა, რასაც ბიზნესსა და მთავრობას შორის ცივილიზებულ ურთიერთობას ვუწოდებთ, არ უნდა დანერგილიყო; მეტიც, არ უნდა განვითარებულიყო ბიზნესის თვითრეგულირების ინსტიტუტები, მაგალითად, ქმედითი არბიტრაჟი და მედიაციის ცენტრი.

**— გიგი უგულავამ ისიც თქვა, რომ ბიზნესდავების მოგვარებაში ხართ ჩართული და ყველა ბიზნესში „დაძვრებით“. სიმართლე გითხრათ, არ გამკვირვებია, რადგან სავაჭრო-სამრეწველო პალატის ქოლგის ქვეშ, რეგიონული საარბიტრაჟო სასამართლოს კონცეფციაზე მუშაობდით. საარბიტრაჟო სასამართლო აამოქმედეთ?**

— დიახ, საარბიტრაჟო სასამართლო უკვე დაფუძნდა. თებერვალში პრეზენტაცია გვექნება, სადაც წამყვან ევროპელ არბიტრებს მოვიწვევთ. ახლა საკანონმდებლო ცვლილებებს ველოდებით, რომ არბიტრაჟმა ფუნქციონირება დაიწყოს.

**— რამდენიმე თვის წინ, ინტერვიუში მითხარით, ბიზნესდავებთან დაკავშირებით, პროკურატურაში ათასობით საქმეა შესული, მაგრამ ეს პროკურატურის კი არა, საარბიტრაჟო სასამართლოს გადასაწყვეტი საკითხებიაო. უკვე ხომ არ დაიწყეთ ამ ტიპის დავების განხილვა და ეს ხომ არ ჩათვალა „ბიზნესში ძრომიალად“ უგულავამ?**

— ნამდვილად არაფერი ვიცი უგულავას ფიქრების შესახებ, მაგრამ მას ერთი ფაქტის დადასტურება მაინც მოუწევს, რა იყო გადაფორმებული ჩემზე და ვის წილებში ჩავჯექი. ჩემი რეპუტაციის შელახვის გამო, ვაპირებ, გიგი უგულავას წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შევიტანო. მან კარგად იცის, რომ ბევრ უცხოელ ინვესტორს ვხვდები და უამრავ მოლაპარაკებაში ვარ ჩართული, ეს ყველაფერი კი მცდელობაა, საქმიანობაში ხელი შემიშალოს.



# ირაკლი შიხიაშვილი ნაციონალებს ამხელს

## რატომ ურჩევს გიგი უგულავას პოლიტიკიდან წასვლას და რატომ ურიგებს ნაციონალ დეპუტატებს პრემიებს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე

რუსუდან შელია
557-100-768

**თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, გიგი უგულავა საჯარო მოხელეებზე ზეწოლას ახორციელებს და მხარდამჭერ პიარაქციებში მონაწილეობას აიძულებს, ამიტომ მას პოლიტიკიდან წასვლას ურჩევს, თავად კი, სიცოცხლის ბოლომდე ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის გასანადგურებლად ბრძოლას აპირებს. ამბობს, რომ საპარლამენტო უმცირესობა პოლიტიკური ცნობიერებიდან უნდა გაქრეს. რატომ სთხოვდა უგულავა საკრებულოს დეპუტატებს ზურაბ ადეიშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას და რა პრინციპით გასცა ნაციონალური მოძრაობის წევრებზე საკმაოდ სოლიდური პრემიები? „ვერსია“ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს, ირაკლი შიხიაშვილს ესაუბრა.**

— სამწუხაროდ, ნაციონალური მოძრაობა, მათ შორის, გიგი უგულავაც ვერ მიხვდა, რომ მათი რიტორიკა და სიცრუე ხალხს დიდი ხანია, აღარ მოსწონს. დაპროგრამებული მანქანებივით არიან — როცა ეკითხები, გაფლანგა თუ არა დედაქალაქის მერმა სახელმწიფო თანხები, გპასუხობენ — „ქართული ოცნების“ პირობებში, ბიუჯეტი ერთი მილიარდით შემცირდაო; მერე ამბობენ, პროკურატურა მონსტრია და პოლიტიკურ დევნას ახორციელებსო... ვისაც მოკლე მეხსიერება აქვს, შევახსენებ — ნაციონალურ მოძრაობას მთავარ პროკურორად პირსისხლიანი ჯალათი ზურა ადეიშვილი ჰყავდა.

**— იქნებ, ისიც შეახსენოთ, რომ საკრებულოს დეპუტატი ნაციონალების მმართველობის დროს გახდით და მაშინდელი თანაგუნდელების დანაშაულზე არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ციხის კადრების გავრცელების შემდეგ, მხოლოდ მაშინ ალაპარაკდით, როცა ხელისუფლების შეცვლის რეალური პერსპექტივა დადგა.**

— ნაციონალური მოძრაობის პარტიის წევრი არასოდეს ვყოფილვარ. ისანი-სამგორის რაიონში გამგებლის მოადგილე გახლდით და სამეურნეო საქმიანობას ვეწეოდი, როცა ნაციონალებმა არჩევნებში მონაწილეობა შემომთავაზეს. არჩევნებში, მაჟორიტარმა კანდიდატმა, პარტიაზე მეტი ხმა მოვაგროვე. წლების განმავლობაში, წინა ხელისუფლების უკანონო ქმედებები ჩემ ოჯახსა და მეგობრებზეც ვრცელდებოდა, მაგრამ ამის ალაგმვა, შესაბამისი პოლიტიკური მთლიანობის არარსებობის გამო, მაშინ შეუძლებელი ჩანდა. ქართული ენერგიის კონსოლიდირება და იდეალურად მოწყობილი ბოროტი მანქანის დამარცხება მხოლოდ ბიძინა ივანიშვილმა შეძლო. საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნება“ რომ დამარცხებულიყო, ნაციონალური მოძრაობისგან გამიჯვნა სიცოცხლის ფასად დამიჯდებოდა. უგულავამ ერთ-ერთ შეხვედრაზე მითხრა კიდეც — ძალიან გარისკეო, არადა, კარგად იცოდა, რომ „ოცნების“ მხარდამჭერი არჩევნებამდე ერთი წლით ადრე გავხდი, უბრალოდ, ვცდილობდი, ეს გარკვეულ პერიოდამდე არ გამჟღავნებულიყო, რათა საკრებულოში კოალიციის დახმარების შესაძლებლობა მქონოდა.

**— მაშინ, იქნებ, ორმაგი თამაშის პრინციპიც განმარტოთ — „ქართული ოცნების“ ფარული მხარდამჭერი „ბანკ ქართუს“ გაკოტრების სქემაში რატომ ფიგურირებდით?**

— „ქართუს“ გაკოტრების სქემაში მონაწილეობაზე საუბარი ნაციონალების თვალთმაქცობის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია. უგულავა იმდენად უნამუსოა, თავის დანაშაულს სხვებს აბრალებს. ამორალური ადამიანი არ ვარ, ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერის პარალელურად, „ქართუ ბანკის“ წინააღმდეგ საქმეები მეხლართა. მთელი ცხოვრება ნაცმოძრაობის რეჟიმის სრული განადგურებისთვის ვიბრძოლებ, რადგან ეს პარტია პოლიტიკური აზროვნებიდან უნდა გაქრეს.

**— თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ნაციონალური მოძრაობის გასანადგურებლად რა მექანიზმი გაქვთ?**

— ნაციონალურ მოძრაობას არჩევნებში დავამარცხებ, თუმცა ჯერ არ გადამიწყვეტია, უახლოეს არჩევნებში მივიღებ თუ არა მონაწილეობას. თუ საჭირო გახდა, სიცოცხლეს გავწირავ, რომ ხელისუფლებაში უწესო ადამიანების პარპაში აღარასოდეს განმეორდეს. ნაციონალურ მოძრაობას არ აქვს უფლება, ქართველი ხალხის სახელით გვესაუბროს — ეს მანდატი საზოგადოებას მათთვის არ მიუნიჭებია. ამ ადამიანებმა ქვეყანა გაატყავეს და, თუ დღეს „ქართული ოცნება“ გარკვეული მიმართულებით შეფერხებით მუშაობს, სწორედ მათ მიერ ჩადებული ნაღმების შედეგია. ახლა გვეუბნებიან, უგულავასთვის მერის უფლებამოსილების შეჩერება პოლიტიკური გადაწყვეტილებააო. ეს ადამიანი საკუთარმა თანამდებობრივმა ამბიციებმა დააბრმავა და დააყრუა. ჩემი კეთილი რჩევა იქნება, პოლიტიკას თავი დაანებოს და სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმით დაკავდეს.

**— გიგი უგულავამ სულმდაბალ ადამიანებად მოიხსენია საკრებულოს ის დეპუტატები, რომლებიც წლების განმავლობაში ნაციონალური მოძრაობის წევრები იყვნენ, დღეს კი, მის წინააღმდეგ ჩვენებებს აძლევენ...**

— მსგავსი განცხადების გამო გიგი უგულავა, მართლაც, სულმდაბალია, თუმცა არაფერი მიკვირს — ეს ადამიანი საკუთარი მიზნების მისაღწევად, სხვების გასაწირად ყოველთვის მზად იყო, თანაც მორალზე ის გიგი უგულავა გველაპარაკება, რომელიც სტრიპტიზბარებში, გაუგებარი სექსუალური ორიენტაციის საზოგადოებაში ერთობოდა და გამოძიებისთვის თავის ასარიდებლად, ზურა ადეიშვილისთვის ხელების შეწმენდას ცდილობდა.

**— გიგი უგულავა ნიკო ხაჩირიშვილს ზურა ადეიშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას რატომ სთხოვდა?**

— მეც მაქვს ინფორმაცია, რომ გიგი უგულავა თავის თანაგუნდელებსა თუ მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეში არსებულ მოწმეებს სთხოვდა, ხელი ზურა ადეიშვილისკენ გაეშვირათ — ის ისედაც გადაკარგულია და პასუხს ვინ მოსთხოვსო. არადა, ადეიშვილს ეს ადამიანები არასოდეს შეხვედრიან, ის მათ ხელსაც კი არ ჩამოართმევდა. გიგის არ ჰყოფნის ვაჟკაცობა, დანაშაული აღიაროს, რადგან ლაჩარია და ცდილობს, ხავსს მოეჭიდოს, მაგრამ არაფერი გამოუვა — ხალხის ფულის ფლანგვა არავის შერჩენია.

**— თქვენ რა შეცვალეთ საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდში გარდა იმისა, რომ 18 000 ლარზე მეტი პრემია აიღეთ, 19 000 ლარი კი მოადგილეებს დაურიგეთ?**

— პირველ რიგში, საკრებულოს კარი გაიღო და, როგორც თავმჯდომარე, ყოველ ხუთშაბათს მოსახლეობას ვხვდები, თითოეული ადამიანის პრობლემას ვითვალისწინებ. როცა საკრებულოში შემოსული თბილისელების წერილებს ვკითხულობ, საკითხის დასაზუსტებლად, ადამიანებს ზოგჯერ ღამის პირველ საათზე ვურეკავ. უამრავი ღონისძიება იგეგმება, მათ შორის, ძველი თბილისის რეაბილიტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში თბილისის გარეშე დავრჩებით, რადგან ქალაქში უამრავი ავარიული შენობაა. მოსახლეობას არ უნდა ჰქონდეს განცდა, რომ საკუთარ სახლში კარკასის ჩამონგრევის საფრთხე არსებობს. მოვაგვარებთ ბაღების პრობლემებსაც, რომელიც გიგი უგულავას გადაწყვეტილების გამო შეიქმნა; რაც შეეხება პრემიებს, 1 800 ლარის პრემია საკრებულოს თავმჯდომარისთვის დიდი თანხაა? 18 000 ლარი 10 თვის განმავლობაში მივიღე.

**— შეგახსენებთ, რომ ოქტომბერში ხელფასზე 4 800 ლარი დაიმატეთ.**

— აღნიშნული ასპროცენტიანი პრემია თბილისობისა და გიორგობის დღესასწაულებზე გავეცით. იცით, ეს საკითხი რატომ ამოტივტივდა? ნაციონალურმა მოძრაობამ შეიტყო, რომ სარევიზიო კომისია მერიის შვიდასპროცენტიანი პრემიების გასაჯაროებას გეგმავდა. კერძოდ, როგორ ხარჯავდნენ მერიის თანამშრომლები ფურშეტებში 900 ათას ლარს, ერთი თვის განმავლობაში კი, გიგი უგულავას ტელეფონზე საუბარში 40 ათასი ლარი დაიხარჯა.

**— ნაციონალურ მოძრაობას მაინცდამაინც ამ მიმართულებით ეჯიბრებით?**

— არ ვეჯიბრებით, უბრალოდ, იმ ადამიანებს, რომლებიც ღამის პირველ საათამდე მუშაობენ, პრემია ნამდვილად ეკუთვნის, ისინი თბილისს გულწრფელად ემსახურებიან, რადგან ქალაქი უყვართ.

**— ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებისთვის — მამუკა ახვლედიანისთვის, ზაალ სამადაშვილისთვის სოლიდური პრემიების გამოწერა პარტიის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის ნაწილია?**

— მარტივად გიპასუხებთ — მე გავეცი, მათ კი ეს თანხა აიღეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იტყოდნენ, რომ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო.



## ალექსანდრე ტაბატაძე იუსტიციის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა

იუსტიციის სამინისტროში აღსრულების პოლიციის, ადამიანის ტრეფიკინგის უწყებათაშორისი საბჭოს საქმიანობაზე ალექსანდრე ტაბატაძე იქნება პასუხისმგებელი, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილის შს მინისტრობის დროს, მისი მოადგილე იყო. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, ალექსანდრე ტაბატაძე 1969 წელს თბილისში დაიბადა, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მისი სამსახურებრივი კარიერა შს სამინისტროს ოპერატიული მუშაკის საქმიანობით დაიწყო; იყო შსს ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ორგანიზებული შეიარაღებული დამნაშავეობის, ბანდიტიზმის, პროფესიონალური გამოძალვისა და დამნაშავეთა სამყაროს ლიდერების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების პროფესიონალური გამოძალვის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსი; ორგანიზებული დამნაშავეობის, კორუფციის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის გამოძალვის მიზნით ადამიანის გამტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსი ინსპექტორი; შემდეგ კი ორგანიზებულ დანაშაულსა და კორუფციასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის სამმართველოს, სახელმწიფოთაშორისო კავშირების მქონე ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

1996-2001 წლებში ალექსანდრე ტაბატაძე მუშაობდა რუსთავის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილედ, შემდეგ უფროსად; ქ. თბილისის კრიმინალური პოლიციის სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის უფროსის მოადგილედ; ქ. თბილისის საბურთალოსა და ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს უფროსის თანამდებობებზე.

2001-2004 წლებში იგი იყო ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსი; 2004 წლიდან შსს აკადემიის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კათედრის უფროსი. 2006 წლიდან ალექსანდრე ტაბატაძე აჭარაში აგრძელებს საქმიანობას. 2007-2008 წლებში ის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეა. 2012-2013 წლებში ალექსანდრე ტაბატაძე შსს მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მოადგილე იყო.

*„პირველი“*



## საერთაშორისო აეროპორტი ანაკლიაში აშენდება

ეკონომიკის მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ფოთის აეროპორტი აღარ აშენდება, რადგან ეს პროექტი აბსოლუტურად გაუმართლებელი იყო: **„ეს არის ჭაობიანი ადგილი და გადამფრენი ფრინველების ზონა, ამიტომ აეროპორტი მის ნაცვლად, ანაკლიის პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდება, რომელსაც საერთაშორისო გადაზიდვების კუთხით ექნება დატვირთვა“.**

გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის ეკონომიკური გუნდის მთავარ ხარვეზებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მთავარი სისუსტე მთავრობის გეგმებსა და პოლიტიკასთან დაკავშირებით, ნაკლებ სიცხადეში გამოიხატებოდა: **„უფრო მკაფიოდ უნდა ყოფილიყო გაჟღერებული გეგმებისა და პოლიტიკის შესახებ. საწყის ეტაპზე, კოორდინაციის პრობლემაც იყო, თუმცა დღეს ასე აღარ არის — ეკონომიკური გუნდი კარგ კოორდინაციაშია, პრემიერ-მინისტრი ეკონომიკური საბჭოს მუშაობაში აქტიურადაა ჩართული“.**

*„პირველი“*

# არასაპატიმრო სასჯელები 72,5 პროცენტამდე გაიზარდა

*უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ რამდენიმე დღის წინ არასამთავრობო სექტორს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს 2013 წლის 11 თვის სტატისტიკური მონაცემები გააცნო.*

2013 წლის 11 თვის მონაცემებით, მთელი საქართველოს მასშტაბით პირველი ინსტანციის სასამართლოებმა განიხილეს 104 705 სისხლის სამართლის საქმე ( ეს ციფრი მოიცავს არა მარტო სისხლის სამართლის საქმეებს, არამედ საგამოძიებო მოქმედებების, აღკვეთის ღონისძიებების და სასამართლოს მიერ დადგენილების სახით გამოცემულ სხვა გადაწყვეტილებებსაც), 32 260 სამოქალაქო საქმე ( მათ შორის სარჩელის უზრუნველყოფის გადაწყვეტილებებიც) და 37 966 ადმინისტრაციული დავა.

სტატისტიკის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეებზე უკვე ბოლო წლების მანძილზე სულ უფრო და უფრო იკლებს სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის შეფარდება. 2013 წლის 11 თვის მონაცემებით, თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 445 პირით, ანუ 10,7 პროცენტით ნაკლებ მსჯავრდებულს. 2013 წლის 11 თვეში 13 479 პირიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა მხოლოდ 3704 პირს, პირობითი მსჯავრი 7790 პირს, ჯარიმა 1589 პირს, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა 242 პირს, ხოლო ამნისტიით გათავისუფლდა 152 პირი.

სულ არასაპატიმრო სასჯელების ხვედრითმა წილმა შეადგინა 72,5 პროცენტი.










როგორია გამოყენებული სასჯელების დინამიკა 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. თავისუფლების აღკვეთა სასჯელის სახედ 2012 წლის 11 თვის მონაცემებით სასამართლოებმა გამოიყენეს 4149 შემთხვევაში, ხოლო 2013 წლის იგივე პერიოდში იგი შემცირებულია 3704-მდე. გაზრდილია პირობითი მსჯავრის დინამიკა. 2012 წელს პირობითი მსჯავრი მიესაჯა 4892 მსჯავრდებულს, ხოლო 2013 წელს -7790-ს. გაიზარდა ჯარიმის რაოდენობაც. 2012 წელს ჯარიმა სულ მიესაჯა 723 მსჯავრდებულს, ხოლო 2013 წელს 1589.

2013 წელს შემცირდა სასჯელის სახით სასამართლოების მიერ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენება.

სასამართლო ასევე აქვეყნებს თავისუფლების აღკვეთის ვადების დინამიკას. 2013 წლის 11 თვის მონაცემებით: ერთი წლის ჩათვლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 1837 პირს; 1 წლიდან 5 წლის ჩათვლით 1517 პირს; 5 წლიდან 8 წლის ჩათლით - 219 პირს; 8 წლიდან 15 წლის ჩათვლით -108 პირს; 15 წლიდან 25 წლის ჩათვლით - 22 პირს; 25 წლის ზევით - 1 პირს.

2013 წლის 11 თვის მონაცემებით უვადო თავისუფლების აღკვეთა სასამართლოს არც ერთი პირისთვის არ მიუსჯია.

რაც შეეხება საპროცესო შეთახმებით განხილულ საქმეებს: 2013 წლის 11 თვეში სასამართლოებმა საპროცესო შეთანხმებით განაჩენი დაადგინეს 12 187 საქმეზე (90 პროცენტი), არსებითი განხილვის შედეგად განაჩენი დადგა 1361 (10 პროცენტი) საქმეზე. სასამართლომ 63 პირის მიმართ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება.

სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის შემცირების პარალელურად ასევე შემცირდა სასამართლოების მიერ აღკვეთის ღონისძიებად საპატიმრო სასჯელების გამოყენების შემთხვევებიც. 2013 წლის 11 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოებმა საპატიმრო ღონისძიება გამოიყენეს მხოლოდ 26,1 პროცენტის შემთხვევაში, ხოლო არასაპატიმრო ღონისძიება 73,9 პროცენტის. 2012 წლის 11 თვესთან შედარებით 17,6 პროცენტით შემცირდა პატიმრობის გამოყენება.

თუმცა აღკვეთი ღონისძიების შემცირების ტენდენცია უკვე რამდენიმე წელია რაც დაიწყო. სტატისტიკა ამ მიმართულებით ასე გამოიყურება: 2010 წელს 54,2 პროცენტი, 2011 წელს-49,3 პროცენტი, 2012 წელს-41,9 პროცენტი, 2013 წელს 26,1 პროცენტი.

რაც შეეხება ადმინისტრაციული კატეგორიის დავებს. აპროცენტიდმინისტრაციული სამართალდართვევის საქმეები გაიზარდა 12 910 საქმით, ანუ 85,2 პროცენტით. 2013 წლის 11 თვეში 2758 სამართალდამრღვევს არ დაეკისრა პასუხისმგებლობა. 2013 წლის 11 თვის მონაცემებით, ადმინისტრაციული სახდელების მეტი წილი არასაპატიმროა - 91,7 პროცენტი. სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სახდელის სახით სულ გამოყენებული იქნა ჯარიმა 83 პროცენტი, პატიმრობა 8,3 პროცენტი, ხოლო გაფრთხილება 8,7 პროცენტი.

ადმინისტრაციული დავეების განხილვის შედეგების სტატისტიკა კი შემდეგნაირია: 2013 წლის 11 თვის მონაცემებით: პირველი ინსტანციის სასამართლოებმა ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დაასრულეს 5017 საქმე, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ 2801 საქმე. იგივე ტენდენცია არის შერნარჩუნებული საკასაციო ინსტანციაშიც, ანუ უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2013 წლის 11 თვეში განხილული ადმინისტრაციული დავებიდან 297 საქმე ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დასრულდა, ხოლო 235 საქმე ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ.

გადაწყვეტილებათა გასაჩივრების მაჩვენებელი კი შემდეგნაირად გამოიყურება:

2013 წლის 11 თვეში გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი უზენაეს სასამართლოში განხილულ სისხლის სამართლის საქმეებზე (პირების მიხედვით) - 2013 წლის 11 თვეში გაუქმდა და შეიცვალა გადაწყვეტილება 92 ( 49,5 პროცენტი) პირის მიმართ, ხოლო 94 პირის (50,5 პროცენტი) მიმართ სტაბილურია. სამოქალაქო საქმეებზე: გაუქმდა 82 პირის ( 11,4 პროცენტი) , ხოლო 639 პირის (88,6 პროცენტი) სტაბილურია), ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე გაუქმდა 122 (22,6 პროცენტი) პირის, ხოლო სტაბილურია 419 პირის (77,4 პროცენტი) მიმართ.

როგორია სასამართლოს საქმიანობა სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით, ამის თაობაზე ინფორმაციების მიღება უზენაესი სასამართლოს ვებგვერდის მეშვეობითაა შესაძლებელი, ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

პროექტს ახორციელებს "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი"
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com

# „სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევა რთული, შენარჩუნება - მუდმივი პროცესი"

***"ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ ქვეყნის განვითარების მყარი საძირკველი უნდა ჩაასხას - შექმნას დამოუკიდებელი და ძლიერი სასამართლო, რომელზეც ძლიერი და განვითარებული ქვეყანა ადვილად აშენდება. როგორც კი, ეს საძირკველი შეირყევა, ქვეყნის ნგრევაც დაიწყება. ამიტომაც, მიმაჩნია, რომ სასამართლო სისტემის სრული დამოუკიდებლობისკენ სვლა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნით უნდა დავიწყოთ,"*** *- აცხადებს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი, რომელთან ინტერვიუსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.*



**- ბატონო მამუკა, როგორ შეაფასებდით 2013 წელს? მით უმეტეს, რომ სასამართლო სისტემა გასული წლის პოლიტიკურ ორბიტაზე მთავარი თემა იყო.**

- თბილისის საქალაქო სასამართლო სიდიდით ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია, საქმეების 45 პროცენტი სწორედ აქ განიხილება და შესაბამისად, 2013 წელიც საქმეების სიმრავლით იყო გამორჩეული. 2013 წელს, სასამართლომ ძალზე გადატვირთულად დაიწყო მუშაობა, რადგანაც ამნისტიის საქმეების უმეტესი ნაწილი - 20 ათას საქმეზე მეტი სწორედ ჩვენ განვიხილეთ. ამნისტიის საქმეები მიმდინარე საქმეების პარალელურ რეჟიმში განიხილებოდა, რის გამოც სასამართლო განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა. თუ მანამდე ერთი მოსამართლე 50-60 საქმეს განიხილავდა, ახლა 160-180 საქმე აწერია. აღსანიშნავია, რომ გარდა რაოდენობისა, თბილისის საქალაქო სასამართლოში შემოსული საქმეები სირთულითაც გამოირჩევა, რადგანაც სახელმწიფო სტრუქტურების ცენტრალური ოფისები სწორედ თბილისში მდებარეობს და ჩვენთან შემოსული საქმეების 80-90 პროცენტი სირთულითაც გამორჩეულია.

**- რა შეიცვალა ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასამართლოში? ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილებას თუ მოჰყვა ცვლილებები სასამართლოში?**

- როცა ჩვენი ევროპელი კოლეგები გვეუბნებოდნენ, რომ ხელისუფლების ცვლილება აძლიერებს სასამართლო ხელისუფლებას, ამ ფრაზას ბოლომდე ვერ ვაცნობიერებდით. ამ სიტყვების რეალობაში ბოლო ერთმა წელმა დაგვარწმუნა, როცა გამოიკვეთა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის განმტკიცებისაკენ მიმართული არა ერთი ფაქტორი. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ამ პერიოდში მოსამართლეებს უფრო განუმტკიცდათ პოზიციები, რათა პოლიტიკურ სიტუაციებს არ მოეხდინათ მათზე გავლენა; მოსამართლეებს უფრო მეტად ჩამოუყალიბდათ პრინციპული დამოკიდებულება, რომ მათ მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი არიან მხოლოდ ისინი და არავინ სხვა, რომ მოსამართლის მიერ გამოტანილმა გადაწყვეტილებამ უნდა გაუძლოს ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში მხოლოდ კანონით ხელმძღვანელობდეს.

**- ბატონო მამუკა, ცოტა ხნის წინათ კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით. თუმცა, მანამდე მოსამართლეებს სამწლიანი გამოსაცდელი პერიოდი ელით, რისი წარმატებით გავლის შემდეგაც შეირჩევიან უვადოდ დასანიშნი მოსამართლეები.**

- მოგახსენებთ, რომ ამ ცვლილების მიმართ მაქვს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება. ჩემთვის გაუგებარია, რას ნიშნავს სამწლიანი გამოსაცდელი ვადა, ან ვინ უნდა გაუწიოს ამ პერიოდში მოსამართლეების საქმიანობას მონიტორინგი. ვინც არ უნდა ჩაუტაროს მოსამართლეების გადაწყვეტილებებს მონიტორინგი, შედეგი აუცილებლად სუბიექტური იქნება, რადგანაც ერთ გადაწყვეტილებაზე რამდენიმე ადამიანმა შეიძლება რამდენიმე სუბიექტური მოსაზრება გამოთქვას - ზოგმა ის შეიძლება დაუსაბუთებლად და მიკერძოებულად ჩათვალოს, ზოგმა პირიქით. თან, მონიტორინგი უნდა ჩაატარონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებმა, რომლებმაც უნდა დაადგინონ მოსამართლეთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის საკითხი. არადა, ეს ფუნქცია სააპელაციო სასამართლოს აკისრია. დავუშვათ, მონიტორინგის წევრებმა ჩაატარეს კონკრეტული მოსამართლის გადაწყვეტილების მონიტორინგი და დაადგინეს, რომ ის დაუსაბუთებელია, ხოლო სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა საპირისპირო გადაწყვეტილება - პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება დატოვა ძალაში. და ეს სწორი იქნება? რა უნდა ვქნათ ასეთ დროს? დავუშვათ, სამწლიანი ვადის მონიტორინგის შედეგად, რომელიმე მოსამართლის გადაწყვეტილებები დაიწუნეს და არ დანიშნეს უვადოდ, ასეთ შემთხვევაში რა პასუხი უნდა გავცეთ მოქალაქეს, რომლის საქმეც მან განიხილა? ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს პრეტენზია და აბსოლუტურად სამართლიანი, თუ რატომ განიხილა მისი საქმე სტაჟიორმა მოსამართლემ, რომლის გადაწყვეტილებები თურმე დაუსაბუთებელია და არ შეიძლება გააგრძელოს სამოსამართლო საქმიანობა. ჩემი აზრით, ეს უპასუხისმგებლობა იქნება სასამართლოს მომხმარებლების მიმართაც.

არსებობს კიდევ ერთი სერიოზული საფრთხე. სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების მიმართ შესაძლებელია მხარეებს გაუჩნდეთ არასათანადო დამოკიდებულება, რადგან ეცოდინებათ, რომ მათ საქმეს განიხილავს მოსამართლე, რომელიც მონიტორინგს ექვემდებარება. ეს მომენტი მოსამართლეს პრობლემას შეუქმნის და ის სიფრთხილეს გამოიჩენს საქმის განხილვისას. არადა, ჩვენ ფრთხილი მოსამართლეები კი არა, სამართლიანი, პრინციპული და დამოუკიდებელი მოსამართლეები გვჭირდება.

კიდევ ერთი მინუსი. რატომ უნდა დაინიშნოს სამწლიანი გამოსაცდელი ვადით ისეთი მოსამართლეები, რომლებიც 10 წელია მუშაობენ, ამას ლოგიკა არა აქვს და ამიტომაც, ვფიქრობ, რომ ეს არის კონტროლის ბერკეტი.

ვფიქრობ, რომ მოსამართლეები უნდა დაინიშნონ უვადოდ, ყოველგვარი გამოსაცდელი ვადისა და მონიტორინგების გარეშე. მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა მისი დამოუკიდებლობის გარანტია. უვადოდ დანიშნულ მოსამართლეს საქმიანობის განხორციელებისას სრული თავისუფლება აქვს, ის არ ფიქრობს არაფერზე, გარდა საქმისა, მას არ აინტერესებს ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენლის პოზიცია, მისი სამოსამართლო საქმიანობისას, შესაძლებელია რამდენიმე ხელისუფლება შეიცვალოს, მაგრამ ის არ უნდა იყოს პოლიტიკური სიტუაციების ცვლილებაზე დამოკიდებული, მოსამართლე არ უნდა ფიქრობდეს ვინმეს თავი მოაწონოს, ის მხოლოდ კანონზე უნდა იყოს დამოკიდებული და მას არ უნდა ჰყავდეს სხვა უფროსი. ვილაცეებს ეშლებათ ერთი მომენტი, ჰგონიათ, რომ მოსამართლის უვადოდ დანიშვნა ნიშნავს მათთვის ყველაფრის უფლების მიცემას, ეს ასე არ არის - უვადოდ დანიშვნა მოსამართლეს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან თუ მან გადაცდომა ჩაიდინა.

როგორც კი, მოსამართლეები გამოსაცდელი ვადით დაინიშნებიან და მათი გადაწყვეტილებების მონიტორინგი მოხდება, მათ დაძაბულ რეჟიმში მოუწევთ საქმიანობა, რადგანაც მონიტორინგი ნიშნავს მოსამართლეთა საქმიანობის პირდაპირ კონტროლს. თეორიულად მაინც არსებობს იმის შანსი, რომ მონიტორინგის განმახორციელებელმა მოახდინოს მოსამართლეზე ზეწოლა. არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ ამის ალბათობაც არსებობს.

მიმაჩნია, რომ თუ არ გადაიდგა ეს ნაბიჯი და მოსამართლეები არ დაინიშნენ უვადოდ, ყოველგვარი მონიტორინგის გარეშე, სასამართლოში წინსვლა არ მოხდება. ეს ნაბიჯი სახელმწიფომ ოდესღაც უნდა გადადგას.

**- საინტერესოა, როგორია საერთაშორისო პრაქტიკა?**

- მსგავსი პრაქტიკა ევროპის ბევრ ქვეყანაშია, მაგრამ განსხვავებული მოდელით. გამოსაცდელი ვადა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიცაა, თუმცა, ეს ქვეყნები მიდიან იქით, რომ მოსამართლეები უვადოდ, ყოველგვარი გამოსაცდელი ვადის გარეშე დაინიშნონ. თანაც, განსხვავება ჩვენსა და ევროპულ მოდელს შორის ისაა, რომ ევროპული მოდელი გამოსაცდელი ვადისას მოსამართლეთა საქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელებას არ ითვალისწინებს. გამოსაცდელი ვადის შემდეგ, თუ მოსამართლემ არ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული ან ეთიკური ნორმები არ დაარღვია, უვადოდ ინიშნება. მაგალითად, გერმანიაში მოსამართლეები ინიშნებიან სამწლიანი გამოსაცდელი ვადით, მაგრამ თუ ამ პერიოდში ის ჩაიდენს მოსამართლის საქმიანობისათვის შეუფერებელ საქციელს, მას უვადოდ არ დანიშნავენ. საინტერესოა სტატისტიკა - გერმანიაში 600 მოსამართლეა გამოსაცდელი ვადის შემდეგ მოსამართლედ დანიშნული, ამ ვადის გასვლის შემდეგ, მხოლოდ ორი ადამიანი არ დანიშნეს უვადოდ და მიზეზი მათი არაეთიკური საქციელი გახლდათ.

**- ვერც წინა და ვერც ამჟამინდელმა ხელისუფლებამ ვერ გადადგა ის ნაბიჯი, რომ მოსამართლეებს მისცეს სრული დამოუკიდებლობა და ისინი უვადოდ დანიშნონ. როგორ ფიქრობთ, რატომ უჭირს ხელისუფლებას ამ გადაწყვეტილების მიღება?**

- ხელისუფლების მცდელობა სასამართლოზე ზეწოლის ბერკეტები გამოიყენოს, საბოლოოდ, თავად ხელისუფლებას ღუპავს. და რაც მთავარია, ქვეყნის განვითარებას აფერხებს. ქვეყანაში, სადაც სასამართლო არ არის დამოუკიდებელი და ის ხელისუფლების გავლენის ქვეშაა, ვერ ვითარდება ბიზნესი, არ იდება ინვესტიციები. მაგალითად, ბიზნესმენი, რომელმაც იცის, რომ სასამართლო ხელისუფლების გავლენის ქვეშაა, 100-მილიონიან ინვესტიციას არ ჩადებს ბიზნესის დასაწყებად ან გასავითარებლად. ვინაიდან იცის, რომ რაიმე პრობლემის არსებობის შემთხვევაში, ის განწირულია, სამართალს ვერ იპოვის სასამართლოში. ყველა უცხოელი ბიზნესმენის პირველი შეკითხვაა, თუ რა სამართლებრივი მდგომარეობაა ქვეყანაში, თავისუფალია თუ არა სასამართლო ხელისუფლების გავლენისაგან. ამიტომაც, დამოუკიდებელი სასამართლო ქვეყნის გავითარების ბაზისია. ბიზნესმენის დაცვის გარანტი სასამართლოა. თუ ინვესტორს საფრთხე შეექმნება, მაგალითად, ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს გაუჩნდება სურვილი მისთვის ბიზნესის წართმევისა, ქვეყანაში უნდა არსებობდეს სასამართლო, რომელიც მას დაიცავს. სხვა შემთხვევაში, ქვეყანა, სადაც ხელისუფლება ინვესტორისათვის ბიზნესის წართმევითაა დაკავებული და ამას სასამართლო ხელს უწყობს და აკანონებს, - განწირულია.

ამიტომაც, ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ ქვეყნის განვითარების მყარი საძირკველი უნდა ჩაასხას - შექმნას დამოუკიდებელი და ძლიერი სასამართლო, რომელზეც ძლიერი და განვითარებული ქვეყანა ადვილად აშენდება. როგორც კი, ეს საძირკველი შეირყევა, ქვეყნის ნგრევაც დაიწყება. ამიტომაც, სასამართლო სისტემის სრული დამოუკიდებლობისაკენ სვლა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნით უნდა დავიწყოთ. ორი წლის წინათ, ამერიკის ფედერალური სასამართლოს თავმჯდომარემ ასეთი რამ განაცხადა: მომდევნო წლის გამოწვევაა, ჩვენი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა. შესაძლოა, ვინმეს გაეღიმოს, როცა ამას ამერიკის ფედერალური სასამართლოს მოსამართლე ამბობს, მაგრამ ასეა, სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევა რთული, შენარჩუნება - მუდმივი პროცესია. ამიტომაც, ხელისუფლებამ უნდა გადადგას ნაბიჯი და გადადგას უპირობოდ.

**- სასამართლო სისტემისათვის პრობლემაა მოსამართლეთა გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის უხარისხობა, ეს საკითხი ახლა არ წამოწეულა, ბოლო წლებში, ის მუდმივი კრიტიკის ობიექტი იყო.**

- დასაბუთებულობის ხარისხის გაზრდაზე სერიოზულად ვმუშაობთ, თბილისის საქალაქო სასამართლოში მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პროგრამა. ასევე, ვმუშაობთ სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის შესწავლაზე, გვაქვს სხვადასხვა სახის პროგრამები, რათა გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხი გავზარდოთ და მაქსიმალურად დავუახლოვდეთ ევროპულ სტანდარტებს. გარდა ამისა, მოსამართლეებისათვის იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სისტემატურად ტარდება ტრენინგები ამ მიმართულებით. წელსაც და მომავალშიც, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება მოსამართლეთა გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხის ზრდა.

**- შესაბამისად, მუდმივად საუბარია, მოსამართლეთა არაკვალიფიციურობაზეც და აქვე გკითხავთ, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, რომლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარეც თქვენ ხართ, ამზადებს კვალიფიციურ, პროფესიონალ მოსამართლეთა კადრს?**

- ამაში არ დაგეთანხმებით, ნებისმიერ პრობლემაზე ღიად ვსაუბრობ და ყველა კრიტიკულ მოსაზრებას მივიღებ, მაგრამ იქ, სადაც პრობლემა არ არსებობს, მასზე ვერ ვისაუბრებ. ჩვენ საკმაოდ კვალიფიციური მოსამართლეები გვყავს და მათ პროფესიონალიზმზე კითხვის ნიშნის დასმა არ შეიძლება.

რაც შეეხება იუსტიციის უმაღლეს სკოლას, აქ ასწავლიან კვალიფიციური ლექტორები, მოქმედი მოსამართლეები და კადრი, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი სკოლა უშვებს ნამდვილად კვალიფიციური სამოსამართლო კადრია და ეს უტყუარი ფაქტია. სკოლაში ცვლილებები იგეგმება, გარდა მოსამართლისა, ლექტორებად მოწვეული იქნება არასამოსამართლო კადრიც. მომზადდა პროექტი, რომ გაიზარდოს კანდიდატთა სწავლების კურსი, თუ ახლა სწავლება 10-თვიანია, გვინდა გახდეს 15-18 თვე და ძირითადი აქცენტები გაკეთდეს კანდიდატებისათვის პრაქტიკული უნარჩვევების სწავლებაზე. კანდიდატი უნდა მიეჩვიოს დარბაზს, სწრაფი გადაწყვეტილების მიღებას, გადაწყვეტილებების დასაბუთებულობაზე მუშაობას და ა.შ. გარდა ამისა, სკოლაში მიმდინარეობს მოქმედი მოსამართლეების გადამზადება და გვინდა ეს მეთოდოლოგიაც დაიხვეწოს. მოსამართლეები თავად შემოგვთავაზებენ იმ საკითხებს, რომლებზეც ჩატარდება ტრენინგები. ზოგიერთი საკითხის განსახილველად, უცხოელ სპეციალისტებსაც მოვიწვევთ, მაგალითად, კიბერდანაშაულის, ფულის გათეთრებისა და სხვა მსგავსი მიმართულების სპეციალისტებს.

ასევე, ვფიქრობ, რომ უნდა შეიცვალოს კანდიდატთა მოსამართლედ დანიშვნის არსებული წესი. ახლა, ადამიანი აბარებს საკვალიფიკაციო გამოცდას, გასაუბრების შემდეგ ირიცხება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელად, სადაც გადის სწავლების ყველა საფეხურს. იუსტიციის უმაღლესი სკოლა კანდიდატს აძლევს რეკომენდაციას, რასაც ისევ იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილავს. შესაძლოა, კანდიდატი, რომელმაც წარმატებით გაიარა სასწავლო კურსი, საბჭომ არ დანიშნოს, რადგანაც რომელიმე წევრმა შეიძლება განაცხადოს, რომ არ იცნობს დასანიშნ კანდიდატს.

მსმენელმა, რომლის მომზადებაც სახელმწიფოს 40-50 ათასი უჯდება, წარმატებით დაასრულა იუსტიციის უმაღლესი სკოლა და აკმაყოფილებს სხვა მოთხოვნებსაც, უპირობოდ უნდა დაინიშნოს მოსამართლედ. ასეთია ევროპული მიდგომა, ცოტა განსხვავებული, მაგრამ მსგავსია ამერიკულიც.

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სხვა საინტერესო სიახლეებს ვგეგმავთ, თუმცა, სკოლა იმ მოდელით, რომლითაც აქამდე საქმიანობდა, სრულად აკმაყოფილებდა ყველა სტანდარტს და ამას ჩვენი ევროპელი კოლეგებიც აღიარებდნენ.

**- თბილისის საქალაქო სასამართლოში მედიაციის ინსტიტუტმა დაიწყო მუშაობა, რაც სრულიად ახალი ინსტიტუტია.**

- 5 დეკემბერს, მედიაციის ცენტრმა პირველი სხდომა ჩაატარა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტია და დაეხმარება სასამართლოს განტვირთვაში. გარდა ამისა, დაიზოგება ფინანსური რესურსიც. მედიაციის ცენტრი ძირითადად, სამოქალაქო საქმეებზე, საოჯახო, სამეზობლო, სამემკვიდრეო დავებზე იმუშავებს. გარკვეული კატეგორიის საქმეებს მოსამართლე თავად გადასცემს მედიაციის ცენტრს. თუმცა, მხარეებს თავად შეუძლიათ მოითხოვონ, მათ საქმეში მედიატორის ჩართვა. მედიაციის ცენტრი თბილისის საქალაქო სასამართლოში პილოტური სახით ამუშავდება და მას შემდეგ, რაც "მართლმსაჯულების სახლი" გაიხსნება ცენტრის ოფისი იქ გადავა. "მართლმსაჯულების სახლში," რომელიც ახლა რემონტდება გადავა იუსტიციის უმაღლესი სკოლაც, სადაც ახალი ტიპის აუდიტორიები ეწყობა მსმენელებისათვის, რათა უფრო კომფორტულ გარემოში წარიმართოს სასწავლო პროცესი. ვფიქრობთ, რომ სკოლაში შევქმნათ სასწავლო კურსები სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებისათვის, მაგალითად, სადაზღვევო კომპანიების, ბანკების თანამშრომლებისათვის და ა.შ. ვფიქრობთ, ახლებურად დავგეგმოთ სასწავლო კურსები მოსამართლეთა თანაშემწეებისათვის. ტრენინგები ჩაუტარდება სასამართლო მოხელეებს, კანცელარიის, მისაღების თანამშრომლებს. მოკლედ, გარკვეულწილად, ვფიქრობთ, გავაფართოვოთ იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფუნქციები და გვსურს უფრო მეტი პროექტები შევთავაზოთ საზოგადოებას.

**- მართლმსაჯულების ელექტრონული პროგრამა, რომლის შექმნაზეც თქვენ მუშაობდით, რა ეტაპზეა ახლა? ელექტრონულ პროგრამაში გასულ წელს მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა ჩართულიყო სასამართლოები.**

- ელექტრონულ პროგრამაში პირველი ინსტანციის ყველა სასამართლოა ჩართული, ის მთელი საქართველოს მასშტაბით მუშაობს. მომავალი წლიდან დავიწყებთ სააპელაციო სასამართლოებისა და საკასაციო სასამართლოს გაფართოებას. ამჟამად, მიმდინარეობს გარე მომხმარებლების, მსხვილი კომპანიების, ბანკების, ადვოკატებისა და სხვადასხვა უწყებების ამ პროექტში ჩართვა.

არ მინდა თავის ქებად ჩამეთვალოს, მაგრამ ახლახანს როგორც ექსპერტი მიწვეული ვიყავი გერმანიის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც რამდენიმე უცხო ქვეყნის წარმომადგენელი აღფრთოვანდა ჩვენი პროგრამით. მინიმალური რესურსით და მინიმალური დაფინანსებით განვახორციელეთ უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელიც წარმატებით მუშაობს. შედარებისათვის აღვნიშნავ, დასავლეთის რამდენიმე ქვეყანაში მსგავსი ტიპის პროექტის ამუშავებაზე 10 მილიონი ევრო დაიხარჯა და ის ჩავარდა. საქართველოშიც ძალზე სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი და გვეუბნებოდნენ, რომ ასეთ მასშტაბურ პროექტს ვერ განვახორციელებდით, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მთავარი მოთხოვნა შესრულებულია - კიდევ უფრო სწრაფი, ხარისხიანი და გამჭირვალე სასამართლო სისტემის ასამოქმედებლად ახალი პროგრამა შექმნილია და წარმატებით მუშაობს.

პროექტს ახორციელებს "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი"
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com



## „უფალი, როგორც პატარა ბავშვს, ისე მკიდებდა ხელს და განსაცდელიდან გამოვყავდი“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ მრევლს სიყვარულისთვის მადლობა გადაუხადა: **„მადლობა უფალს, მისი დიდი წყალობისთვის. მადლობა თქვენ, თქვენი სიყვარულისთვის. 36 წლის მანძილზე ერთი, რაშიც დავრწმუნდი ესაა, რომ უფალი არასოდეს ტოვებდა საქართველოს. ღმერთი, როგორც პატარა ბავშვს, ისე ჩამკიდებდა ხელს და განსაცდელიდან გამოვყავდი მეც და ჩვენი ქვეყანაც. დიდება და მადლობა უფალს ამისთვის. ხშირად ვამბობთ, რომ გაკეთდა და აშენდა ტაძრები, ჩვენ ვმადლობთ უფალს, ნურაფრის შეგეშინდებათ, პატარა განსაცდელი გაივლის და საქართველო დადგება ბედნიერების გზაზე**“.

25 დეკემბერს, საქართველოს ეკლესიამ ილია მეორეს აღსაყდრებიდან 36 წლისთავი აღნიშნა. სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხსენების დღესთან დაკავშირებით, სამების საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვა აღსრულდა.

***„პირველი“***




## ხორცპროდუქტების ქარხანა „ვაკის“, შპს „მადიანისა“ და შპს „ვერძის“ დირექტორები პასუხისგებაში მისცეს

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიაზე გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გამოვლენილი ფალსიფიკაციის ფაქტებზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა ვაკის“ დირექტორი ლევან ჩხაიძე, შპს „მადიანის“ დირექტორი მამუკა პირველაშვილი, შპს „მადიანის“ ტექნოლოგი გელა ვაჩეიშვილი და შპს „ვერძის“ დირექტორი მახარე ლემონჯავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა ვაკის“ მიერ წარმოებული ძეხვი: „ვაკე სერველადი“ და „პაპრიკა“, სოსისები: „ვაკე ივერია კოლაგენში“ და „ვაკე საგაზაფხულო“, „საგაზაფხულო“, სარდელი „შპიკი“, ასევე შპს „მადიანის“ მიერ წარმოებული — ძეხვი „მადიანი სუფრული“, სოსისები: „სპეცი“, „ივერია“, „მადიანი საბავშვო“, „გურმანი“, „ჰანოვერი“, „საბავშვო“, ასევე შპს „ვერძის“ მიერ წარმოებული ძეხვი: „ტეხურა“, „კრაკოვური“, „მოყვარულთა“, „დელიკატესური“, „მონადირული“, სოსისი „ტეხურა“, ნახევარფაბრიკატი ქაბაბი და გუფთა, თვითღირებულების შემცირების მიზნით, ხშირ შემთხვევაში დამზადებულია წყლისა და სახამებლის დადგენილ ნორმებზე მეტი რაოდენობის შერევით. ჩატარებული ქიმიური და მიკრობიოლოგიური ექსპერტიზით დადგინდა, რომ პროდუქცია არის ფალსიფიცირებული, მოხმარებისთვის უვარგისი და სტანდარტებთან შეუსაბამო. ასევე, რიგ სახეობებში აღმოჩნდა სანიტარული წესებითა და ნორმებით დადგენილზე მეტი ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიების (კოლიფორმები) რაოდენობა.

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის I ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთიდან ხუთ წლამდე ვადით.

***„ინტერპრესნიუსი“***

# სამართლებრივად, გიგი უგულავა, კვლავ თბილისის მერია



### იურისტი ლევან ალაფიშვილი განმარტავს, როგორ უპასუხა სასამართლომ პროკურატურის გამოწვევას და რატომ ვერ მოიძებნა თბილისის მერის თანამდებობიდან გადამყენებელი პირი

რუსუდან შელია
557-100-768

**ბრალდებულ გიგი უგულავას, მერის თანამდებობაზე უფლებამოსილების შეჩერებასთან დაკავშირებით, სასამართლო განჩინება უკვე გადაეცა. იურისტი ლევან ალაფიშვილი განმარტავს, რომ სამართლებრივად, გიგი უგულავა დედაქალაქის მერად რჩება — პოსტიდან მისი გათავისუფლების ბრძანებაზე ხელმომწერი პირი ბუნებაში არ არსებობს. „ვერსიასთან“ ლევან ალაფიშვილი პროკურატურის არაპროფესიონალიზმსა და უსუსურობაზე საუბრობს, საგამოძიებო ორგანოებს კი, გიგი უგულავას წინააღმდეგ არსებული რეალური კომპრომატებით დაინტერესებისკენ მოუწოდებს.**

— გიგი უგულავასთვის მერის უფლებამოსილების შეჩერებით, სასამართლოს კანონი არ დაურღვევია, მაგრამ, როცა ევროკავშირისკენ ვისწრაფვით, მსგავსი ფორმით გადაწყვეტილების მიღება გაუმართლებელია. მიზანშეწონილი იქნებოდა, პროცესზე მტკიცებულებები ორივე მხარეს წარედგინა და საქმე შეჯიბრებითობის პრინციპით წარმართულიყო. გაუგებარია პროკურატურის პოზიციაც — უგულავასთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება და თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნა, მოწმეებზე ზეწოლის განხორციელების შესაძლებლობით ახსნა; ფაქტობრივად, სახელმწიფო აღიარებს, რომ უსუსურია და ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნით გამოძიებას მტკიცებულებების მოპოვებაში ხელი ეშლება.

**— გამორიცხავთ, რომ თანამდებობაზე დარჩენილი უგულავა გამოძიებისთვის ხელისშეშლას, მართლაც, შეეცდებოდა, ან მძიმე ბრალდებების არსებობის ფონზე, მერად დარჩენის მორალური უფლება ჰქონდა?**

— პოლიტიკურ შეფასებას ვერ გავაკეთებ, თუმცა სახელმწიფო უნდა დაფიქრდეს, რამდენად ულირდა უგულავას წინააღმდეგ ამ გზით წასვლა? უკეთესი იქნებოდა, თბილისის მერის საქმე საჯაროდ განხილულიყო და ოპონენტებისთვის საკითხით მანიპულირების შესაძლებლობა არ მიეცათ. ამ შემთხვევაში, სანამ საქმეში ბოლო წერტილი არ დაისმება, ჩემთვის მორალის ადგილი არ რჩება. მესმის, უგულავას საკმაოდ მძიმე ბრალდებები წაუყენეს, მაგრამ პროკურატურამ, კეთილი ინებოს და, რთულ ვითარებაში ოპტიმალური გადაწყვეტილება მიიღოს, მარტივ გადაწყვეტილებებს ბავშვები იღებენ ბაღში. პროკურატურას პროფესიონალიზმი აკლდა, რადგან წაყენებული ბრალდებები სასამართლოს ვერ დაუსაბუთა.

**— პროკურატურის ერთ-ერთი მოთხოვნა სასამართლომ დააკმაყოფილა და უგულავას მერის უფლებამოსილება შეუჩერა. განაჩენის აღსრულება თავად პროკურატურას დაევალა, ეს გადაწყვეტილება კანონთან შესაბამისობაშია?**

— კურიოზიების ქვეყანაში ვცხოვრობთ — თანამდებობის არჩეული პირი პოსტიდან პროკურატურამ როგორ უნდა გაათავისუფლოს? სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, სამართლებრივად, გიგი უგულავა თბილისის მერად რჩება. კერძოდ, კანონით: თანამდებობის პირისთვის უფლებამოსილების შეჩერებასთან დაკავშირებით, სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომმა პირმა უნდა აღასრულოს და მიღებული ზომების შესახებ სასამართლოს მოგვიანებით აცნობოს, თბილისის მერის ზემდგომი პირის პოვნა კი შეუძლებელია; მეტიც — ეს ერთადერთი არჩეული თანამდებობაა, რომლის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება კანონში გათვალისწინებული არ არის. იმედი მაქვს, უმრავლესობა კანონებს ახლა მაინც წაიკითხავს. პროკურატურამ გიგი უგულავას საკითხი სასამართლოს ანაბარა დატოვა, სასამართლომ კი, თავის მხრივ, ამ გამოწვევას კარგი პასუხი გასცა — კი, ბატონო, მივიღებ გადაწყვეტილებას, მაგრამ ახლა თავში ქვა გიხლიათ, მიდით და უფლებამოსილების შეჩერების განაჩენი აღასრულეთო.

**— თუ ასეა, თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებლად სევდია უგრეხელიძის დასახელება და უგულავას ბრძოლა თანამდებობაზე დასაბრუნებლად, მხოლოდ პოლიტიკური სპეკულირების ნაწილია?**

— რა თქმა უნდა, ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურად მომგებიან პოზიციაშია, პროკურატურამ კი რას მიაღწია? უგულავას გადაყენება ბოლომდე ვერ მოახერხა, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სპექტრში ნეგატივი შექმნა და საერთაშორისო პარტნიორებსაც დამატებითი კითხვების დასმის საფუძველი მისცა.

**— რატომ, უგულავას წინააღმდეგ ხომ წლების განმავლობაში ვრცელდებოდა კომპრომატები — თბილისის ბიუჯეტის ფულით ღამის კლუბებში ერთობოდა, ავსტრიაში მისი მეუღლის მშობიარობაც ბიუჯეტიდან დაფინანსდა... ეს მტკიცებულებები საკმარისი არ არის?**

— შესაძლოა, უგულავა ცუდია, მაგრამ კანონის წინაშე ყველანი თანასწორები ვართ. თუ საჯარო პირი, პირადი მიზნებისთვის, სახელმწიფო სიკეთეს იყენებს, რის მტკიცებულებებსაც საზოგადოება, მათ შორის, მედია ავრცელებს, კომპეტენტურმა ორგანომ მასალებზე რეაგირება უნდა მოახდინოს. უგულავას წინააღმდეგ არსებული კომპრომატები მხოლოდ საზოგადოებრივ სივრცეშია და გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ მიმართულებით, პროკურატურა მხოლოდ მოსახლეობის რეაქციას აკვირდება. გაუგებარია, რატომ არ დაიწყო პროკურატურამ აღნიშნულ ფაქტებზე გამოძიება და რა მიზნით დატოვა სერიოზული მტკიცებულებები ჭორაობის დონეზე.

**— თბილისის მერიაში არამიზნობრივი ხარჯვის შესახებ წინა ხელისუფლების დროსაც გახდა ცნობილი, თუმცა ზურაბ ადეიშვილმა აუდიტის მასალებს გრიფი „საიდუმლო“ დაადო.**

— ყოფილმა პრემიერმა, ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ გახმაურებულ საქმეებს გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნებოდა. თუ პროკურატურა მერიაში ჩატარებულ აუდიტორულ დასკვნას გრიფს არ ხსნის, თავად მაინც შეისწავლონ — ამ მასალებზე წვდომა ხომ აქვთ?! თუ პროკურატურა ამ პრინციპით მუშაობას გააგრძელებს, ფაქტის დამტკიცებას მომავალშიც ვერ შეძლებს და დამნაშავეები არ დაისჯებიან და პარალელურად, საგამოძიებო ორგანოების, ამასთან, სასამართლოს დისკრედიტაცია მოხდება, ეს პროცესი კი სახელმწიფოებრიობის დამთავრებას გამოიწვევს. სხვათა შორის, ივანიშვილმა არაერთხელ განაცხადა, სასამართლოს მიმართ კრიტიკას მოერიდეთო და ეს, მართლაც, სწორი მიდგომა იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ამ ფაქტს არავინ ითვალისწინებს — უმრავლესობაცა და უმცირესობაც სასამართლოს დისკრედიტაციას ცდილობს, რაც საზოგადოებისგან მოსამართლეების გარიყვას გამოიწვევს, საბოლოოდ კი, სავალალო პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით.

## ვერსიანიუსი

## შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის სასჯელაღსრულების სისტემის ექიმი დააკავა



შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-8 განყოფილების, ამავე სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით სასჯელაღსრულების სამინისტროს მე-15 დაწესებულების სამედიცინო პუნქტის ექიმი – 1967 წელს დაბადებული ნანა შ. თბილისში, მეტროსადგურ „ვარკეთილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

სამართალდამცავებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ორ შეკვრად დაფასოებული 0,8272 ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,0063 გრ დეზომორფინს და 0,0058 გრ კოდეინს შეიცავს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

***„ვერსიანიუსი“***

# ღრმა დეპრესიის, ბუნებრივი კატაკლიზმების, ომების, სამაგიეროდ კიბოს დამარცხების წელი იწყება

## რას მოუტანს მსოფლიოს ლურჯი ცხენის წელი და რატომ შეიძლება ჩაიშალოს სოჭის ოლიმპიადა?



როგორი იქნება 2014 წელი და რას გვიქადის ლურჯი ცხენი? — ამ კითხვის პასუხი, წლის მიწურულს, ალბათ, ყველგან ერთნაირად აინტერესებთ. მსოფლიო ასტროლოგები და ნათელმხილველები მიიჩნევენ, რომ მომდევნო წელი საკმაოდ კრიზისული იქნება; მეტიც, ცნობილი ასტროლოგი პაველ გლობა ამტკიცებს, კრიზისი ისეთი დიდი და ძლიერი იქნება, რომ „მსოფლიო ღრმა დეპრესიაში ჩავარდება".

მართლა ჩააგდებს თუ არა 2014 წელი დედამიწის მკვიდრთ დეპრესიაში, დრო გვიჩვენებს, თუმცა, სამწუხაროდ, ამ მდგომარეობაში აღმოჩენის მიზეზები, ჩვენ პლანეტას, თურმე, მომდევნო წლის განმავლობაში, უხვად ექნება. მაგალითად, იგივე გლობა ამბობს, რომ გამწვავდება ყველა შესაძლო სამხედრო კონფლიქტი, ეს არასასურველი პროცესი კი, 2014 წლის გაზაფხულის პირველივე თვიდან დაიწყება. არაა გამორიცხული, პირველი „კონფლიქტური აფეთქება" სოჭის ოლიმპიადის დასრულებისთანავე მოხდეს.

გლობას წინასწარმეტყველების თანახმად, აღმოსავლეთის ბევრ სახელმწიფოს შეარყევს რევოლუციური მოძრაობა, განსაკუთრებით დაზარალდება იემენი და სირია. ირანში ომი მოხდება, ტერორისტული აქტები კი, მთელ დედამიწას მოედება.

პაველ გლობას პროგნოზით, არასახარბიელო ძვრები მოხდება ეკონომიკაშიც. აქამდე დროშიგაწელილი კრიზისი, 2014 წელს გაძლიერდება, შედეგად, აშშ დოლარი ჯერ გაუფასურდება, 2015 წელს კი, საბოლოოდ, დაეცემა. ლურჯი ხის ცხენის წელში ასევე დაეცემა ნავთობის ფასი, რაც კატასტროფულად აისახება ნავთობმომპოვებელი და ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკაზე. მოგეხსენებათ, მედალს ორი მხარე აქვს. ამ უკანასკნელი წინასწარმეტყველების მეორე მხარე, დადებითი ჩვენთვის ანუ ისეთი სახელმწიფოებისთვისაა, რომელთა ეკონომიკაც შავი ოქროს მოპოვება-ექსპორტზე არაა დამოკიდებული — ნავთობის ფასის დაცემამ ჩვენთან საწვავის, შესაბამისად, პროდუქტის გაიაფებაც შეიძლება გამოიწვიოს.

პაველ გლობა კიდევ ერთ არასახარბიელო პროგნოზს აკეთებს ბუნებრივ კატაკლიზმებთან დაკავშირებით: მისი თქმით, 2014 წლის ზაფხულში, მოსალოდნელია, გახშირდეს ავიაკატასტროფების, მიწისძვრების, წყალდიდობებისა და ცუნამის... შემთხვევები, ამ ყველაფრის დაბალანსება კი იმით მოხდება, რომ გლობას წინასწარმეტყველებით, სწორედ ლურჯი ცხენის წელში დაამარცხებენ მეცნიერები კიბოს, რაც პლანეტის ბევრი მკვიდრისთვის ნამდვილი სასწაული იქნება. გლობა ასევე პროგნოზირებს, რომ ასტროფიზიკოსები ისეთ კოსმიურ აღმოჩენას გააკეთებენ, რომელიც, საბოლოოდ, XXI საუკუნის მთავარ სენსაციად მოინათლება.

2014 წელი წარმატებული იქნება პირადი ურთიერთობების ასაწყობად. ლურჯი ცხენი მათ, ვისაც პარტნიორი ჰყავს, მაგრამ ოჯახის უღელში ჯერ არ შებმულა, ურთიერთობის ოფიციალურად გაფორმებას უქადის; ისინი, ვინც ჯერ გაურკვევლობაშია და ურთიერთობას სახელს არ არქმევენ, ამ ნაბიჯს გადადგამენ და გარშემო ყველას გააგებინებენ რჩეულის ვინაობას, მარტოხელები კი, ერთხელ და სამუდამოდ, შეხვდებიან თავის მეორენახევრებს. ამ წინასწარმეტყველების რეზიუმე ასეთია — წელს, თითოეულ ადამიანს აქვს შანსი, მოიწესრიგოს პირადი ცხოვრება და დაოჯახდეს. თანაც, 2014, მყარი ცოლ-ქმრული ურთიერთობების წელია.

ლურჯი ცხენის წელი წარმატებული იქნება სამეცნიერო, სამრეწველო საწარმოების განსავითარებლად, კვლევებისა და ექსპერიმენტების ჩასატარებლად, ექსპედიციებისთვის... სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ წელს გაუმართლებს ინტელექტუალური ყველა სფეროს მოღვაწეებს.

სამაგიეროდ, მუდმივად ცდუნების დაძლევა მოუწევთ პოლიტიკოსებს. ზოგადად, მსოფლიო პოლიტიკა არ იქნება მშვიდი და ამის გადალახვას ბევრი ვერ შეძლებს. ამ ფონზე, წლის განმავლობაში, ბევრ ქვეყანაში, მმართველი პირები და ძალები ხშირ-ხშირად შეიცვლებიან.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ 2014 წლისთვის, მსოფლიოს სხვადასხვა ასტროლოგი და ნათელმხილველი, განსხვავებულ პროგნოზებს აკეთებს. მაგალითად, წინასწარმეტყველი სერგეი სმირნოვი მიიჩნევს, რომ ძველებურზე ბევრად საშიში ფორმით დაგვიბრუნდება ქათმის გრიპი და მისი შედეგები ისეთი მძიმე იქნება, რომ შეიძლება, ამ მიზეზით სოჭის ოლიმპიადაც გადაიდოს. ბევრია ისეთი წინასწარმეტყველი, რომელიც გამყინვარების დაწყებას პროგნოზირებს.

საბოლოოდ, ყველა თანხმდება ერთ რამეზე — იქნება ქარიშხლები, წყალდიდობები, მიწისძვრები... განსაკუთრებით, დაზარალდება წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე სახელმწიფოები.

შედარებით ოპტიმალური პროგნოზები კეთდება რუსეთთან დაკავშირებით. ბევრი ექსტრასენსი საუბრობს, რომ რუსეთი ზესახელმწიფოდ საბოლოოდ ჩამოყალიბდება. მარია დიუვალი, ნათელმხილველი საფრანგეთიდან, დარწმუნებულია, რომ 2014 წელს, რუსეთი უმდიდრეს ქვეყნად იქცევა, თუმცა, მისი თქმით, კრემლი, რუსეთის მოქალაქეების კეთილდღეობას, სხვა სახელმწიფოებთან კონფლიქტების ფასად მიაღწევს — არაა გამორიცხული, კონფლიქტები სამხედრო ხასიათის იყოს.

ცნობილი ამერიკელი მკვლევარი ედგარ კეისი მიიჩნევდა, რომ 2014 წელს, დედამიწის მკვიდრები კონტაქტს დაამყარებენ უცხოპლანეტელებთან და გახდებიან „დროში მოგზაურთა" კოალიციის წევრები. ნათელმხილველმა მომავლის ორგანიზაციის ემბლემაც კი გამოსახა — გამჭვირვალე სფეროში მოთავსებული ქალი და მამაკაცი.

ბულგარელი ნათელმხილველი ვანგა კი, თავის წინასწარმეტყველებაში, აშკარად შეცდა — დროის ამ მონაკვეთზე ის წერდა, რომ უნდა დასრულებულიყო მესამე მსოფლიო ომი, რომელიც, ვანგას მტკიცებით, ჯერ კიდევ 2010 წელს უნდა დაწყებულიყო. ომში ქიმიური და ბირთვული იარაღიც უნდა გამოეყენებინათ. ვანგას ამ წინასწარმეტყველების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცნობილი ნათელმხილველები თუ ასტროლოგებიც ცდებიან ხოლმე და იმედი უნდა გვქონდეს, რომ მესამე მსოფლიო ომისმსგავს წინასწარმეტყველებას ასრულება არ უწერია.

*„ვერსიანიუსი"*



## თურქეთის პრეზიდენტმა ახალი მინისტრთა კაბინეტი დაამტკიცა

„ბიბისის" ინფორმაციით, მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის შეცვლის გადაწყვეტილება თურქეთის პრემიერმა პრეზიდენტ აბდულა გიულისთან მოლაპარაკებების შემდეგ მიიღო. მინისტრთა კაბინეტი, რომელშიც 10 ახალი სახეა, პრეზიდენტმა უკვე დაამტკიცა, გათავისუფლებულ მინისტრებს შორის კი არიან თურქეთის ვიცე-პრემიერი, იუსტიციის მინისტრი, ტრანსპორტის მინისტრი, ასევე ევროკავშირთან ურთიერთობის მინისტრი ეგემენ ბაგისი, რომლის სახელიც ფიგურირებს კორუფციულ სკანდალში, თუმცა არც ბაგისი და არც მისი ოჯახის რომელიმე წევრი პოლიციას არ დაუკავებია.

საკუთარი სურვილით თანამდებობები დატოვეს ეკონომიკის, შინაგან საქმეთა, ეკოლოგიისა და საქალაქო დაგეგმარების მინისტრებმა.

თურქეთში მინისტრების შეცვლა და გადადგომა გასულ კვირას ატეხილ კორუფციულ სკანდალს მოჰყვა, რომლის დროსაც პოლიციამ 24 ადამიანი დააკავა, მათ შორის ეკონომიკისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ვაჟები, ასევე პრემიერ-მინისტრ რეჯეფ ტაიპ ერდოღანის გარემოცვის წევრები.

კორუფციულ სკანდალს თურქეთის დედაქალაქში საპროტესტო აქციებიც მოჰყვა. „როიტერის" ინფორმაციით, 25 დეკემბერს, სტამბოლში მიმდინარე ანტისამთავრობო დემონსტრაცია, სპეცდანიშნულების რაზმსა და დემონსტრანტებს შორის შეტაკებაში გადაიზარდა. მომიტინგეები სპეცრაზმმა წყლის ჭავლის გამოყენებით დაშალა, თავის მხრივ, დემონსტრანტებმა სამართალდამცავებს ქვები და ბოთლები დაუშინეს. აქციის მონაწილეები ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, რეჯეფ ტაიპ ერდოღანის გადადგომას მოითხოვენ. საპროტესტო აქციები გაიმართა ანკარასა და იზმირშიც.

*„ინტერპრესნიუსი"*



## უკრაინის მილიციამ ჟურნალისტ ტატიანა ჩორნავოლის ცემაში ეჭვმიტანილი ორი პირი დააკავა

ინფორმაციას უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი ვიტალი ზახარჩენკო ავრცელებს. ჟურნალისტზე თავდასხმაში ეჭვმიტანილია სამი პირი, „ორი მათგანი უკვე დაკავებულია. მიმდინარეობს გამოძიება და დგინდება ჟურნალისტზე თავდასხმის მოტივი".

„უკრაინსკაია პრავდას" ბლოგერი, ჟურნალისტი ტატიანა ჩორნავოლი 25 დეკემბრის ღამეს სასტიკად სცემეს. ჟურნალისტი პრეზიდენტ იანუკოვიჩისა და მისი გარემოცვის კრიტიკით იყო დაკავებული. ცოტა ხნის წინ მან შინაგან საქმეთა მინისტრის, ვიტალი ზახარჩენკოსა და გენპროკურორის, ვიქტორ შპონკას სახლები გადაიღო და თავის ბლოგზე განათავსა. ვიქტორ იანუკოვიჩმა შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმის სასწრაფო გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა მოსთხოვა.

უკრაინაში კი საპროტესტო აქციები გრძელდება, ჟურნალისტის ცემის ფაქტმა ევრომეიდანზე შეკრებილი მომიტინგეების აღშფოთება გამოიწვია. ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ აქციები დღესასწაულზეც იქნება და ახალი წლის ღამეს ქუჩაში, პროტესტის გამოსახატად, რამდენიმე ათასი ადამიანი გამოვა, ხოლო მათ გასამხნევებლად, შესაძლოა, ჯგუფები — Modern Talking და Pink Floyd წარდგნენ, — ამის შესახებ ინფორმაცია უმაღლესი რადას დეპუტატმა, მიხაილ ბლავაცკიმ გაავრცელა. პარტია „თავისუფლების" დეპუტატის თქმით, ოპოზიცია იმედს გამოთქვამს, რომ ახალი წლის ღამეს დამოუკიდებლობის მოედანზე მილიონამდე ადამიანი გამოვა და მათი რაოდენობა გინესის რეკორდების წიგნშიც შევა.

უკრაინულ მედიაში ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახალი წლის ღამეს ევრომაიდანზე იმღერებდა ჯგუფი U2-ს ლიდერი ბონო, თუმცა უკრაინულმა სააგენტო „დონბასმა" აღნიშნა, რომ ირლანდიელი მომღერალი უკრაინაში ჩასვლას არ გეგმავს.

*„ინტერპრესნიუსი"*

ვერსიანიუსი

## კანადასა და აშშ-ში, ყინულოვანი შტორმის შედეგად, 30-მდე ადამიანი დაიღუპა



„ბიბისის" ინფორმაციით, დაახლოებით 30 ადამიანი დაიღუპა კანადასა და აშშ-ში ყინულოვანი შტორმის შედეგად. აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთითა და კანადის სამხრეთ-აღმოსავლეთით 500 ათასზე მეტი მობინადრე ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი.

ტორონტოს მერის, რობ ფორდის განცხადებით, ტორონტოში შობას 72 ათას ადამიანს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა, უამინდობის გამო, შეფერხებულია სატრანსპორტო მოძრაობა ტორონტოსა და მონრეალს, ოტავასა და ნიუ იორკს შორის.

უამინდობაა ევროპაშიც — გადაუღებელმა წვიმამ და ქარიშხალმა, ყველაზე მეტად, დიდი ბრიტანეთი დააზარალა. ასობით ადამიანი რეისების აღდგენას ელოდება ლონდონის აეროპორტში. საფრანგეთში ელექტროენერგიის გარეშე 200 ათასზე მეტი ადამიანია დარჩენილი. სინოპტიკოსების პროგნოზით, ავდარი, მომდევნო 2 დღეს პრობლემებს ესპანეთს შეუქმნის.

*„ინტერპრესნიუსი"*



# ჰოროსკოპი
## 27 დეკემბერი

**ვერძი** — შესაძლოა, ზედმეტმა სიჯიუტემ და დაუმორჩილებლობის სურვილმა უამრავი პრობლემა შეგიქმნათ. შეეცადეთ, ემოციები მოთოკოთ და ვითარება სერიოზულ კონფლიქტამდე არ მიიყვანოთ.

**კურო** — მიზანდასახული და გაბედული იქნებით. საკუთარ თავში ძალების მოზღვავებას იგრძნობთ და ცხოვრების შეცვლის სურვილი გაგიჩნდებათ.

**ტყუპები** — დოკუმენტებთან დაძაბული სამუშაო გელით, მაგრამ ეს უბრალო რუტინა არ იქნება, ნაბიჯები წინასწარ გათვალეთ, განსაზღვრეთ მოვლენების შესაძლო განვითარება და შემდეგ მიიღეთ გადაწყვეტილება.

**კირჩხიბი** — იმის გამო, რომ გადაუდებელი პრობლემების მოგვარება გიწევთ, რომანტიკისთვის ნამდვილად არ გეცლებათ. შეეცადეთ, მინიმუმამდე დაიყვანოთ ახლობლებსა და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტს ვერ აიცილებთ თავიდან.

**ლომი** — თუ მიზანს დაისახავთ, არაფრის წინაშე აღარ დაიხიოთ უკან. ახლა ფორტუნა თქვენს მხარესაა და ნუ გაუშვებთ ამ შანსს ხელიდან. შეგიძლიათ, საკუთარი მომხიბვლელობისა და პროფესიონალიზმის იმედი იქონიოთ.

**ქალწული** — საკმარისი დრო და ენერგია გექნებათ, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოთ და მუშაობისას კოლეგებიც ჩართოთ — ისინი სიხარულით დაგიჭერენ მხარს და ყველა პრობლემა მალე მოგვარდება.

**სასწორი** — დღეს ფინანსურ საკითხებს მოაგვარებთ და მატერიალურ სარგებელსაც ნახავთ. თქვენს კოლექტივში ატმოსფერო უმჯობესდება და შეიძლება დამატებითი შემოსავალიც მიიღოთ.

**ღრიანკალი** — არის შანსი, მთლიანად ჩაიძიროთ სამუშაოში. მიუხედავად იმისა, რომ უფროსობა ამას სათანადოდ დააფასებს, მედალს მეორე მხარეც აქვს — შესაძლოა, დრო არ დაგრჩეთ ახლობელი ადამიანებისთვის და ეს კამათის საფუძველი გახდეს.

**მშვილდოსანი** — მნიშვნელოვანი შეხვედრა გელით, რაზეც თქვენი კარიერული წინსვლა იქნება დამოკიდებული. შეგიძლიათ, თანამოსაუბრეს აგრძნობინოთ, რომ გაბედული ნაბიჯისთვის მზად ხართ და მაქსიმუმის გაკეთებას შეეცდებით.

**თხის რქა** — შესაძლოა, ვითარება კონტროლს აღარ დაექვემდებაროს და მოვლენები ისე არ განვითარდეს, როგორც ვარაუდობდით. დღეს ყველაფერი ხელიდან გეცლებათ — თქვენი დაძაბულობა, შესაძლოა, გარშემომყოფებსაც გადაედოს და ინტერესთა კონფლიქტი გაღვივდეს.

**მერწყული** — მერწყულებისთვის კარგი პერიოდი დგება — ნელ-ნელა ყველაფერი უკეთესობისკენ იცვლება — არსებულ პრობლემებს წარმატება და კარგი განწყობა შეცვლის.

**თევზები** — მალე თავს მნიშვნელოვან პიროვნებად იგრძნობთ, შესაძლოა, ვიღაც სიყვარულშიც გამოგიტყდეთ. ძველ მეგობრებს საკუთარი მიღწევები გაუზიარეთ და თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინეთ.

# ყველაზე მავნე პროდუქტი დაასახელეს



მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გადაწყვიტეს, მავნე პროდუქტის რეიტინგი შეედგინათ და კვების სფეროში მოღვაწე ექსპერტები გამოკითხეს. ცხადია, ყველა პროდუქტის განხილვა შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომ ყურადღება იმ ნაწარმზე გაამახვილეს, რაც სხვადასხვა დაავადებების — გულსისხლძარღვთა, ონკოლოგიური, კუჭნაწლავისა და დიაბეტის მასობრივი გავრცელების მიზეზი ხდება. მაშ ასე, ამ გამოკითხვის შედეგად ყველაზე მავნე პროდუქტის ტიტული და უმაღლესი — 12 ქულა ჩიფსმა დაიმსახურა. ცნობილია, რომ მათი დამზადების ტექნოლოგია სინთეტურ ცხიმებსა და სხვა კანცეროგენებს წარმოშობს, რაც სიმსივნის წარმოქმნას უწყობს ხელს. ჩიფსთან ერთად „ლიდერის“ პოზიცია ლიმონათმა გაინაწილა — მისი ჭარბი მოხმარება იწვევს ნივთიერებათა ცვლის დარღვევას, სინთეტური საღებავები ხშირად ალერგიის მიზეზი ხდება, ნახშირმჟავა აირი (გაზიანობა) კი კუჭის მჟავიანობას ამატებს და გასტრიტს იწვევს. რეიტინგში მეორე ადგილი (7 ქულა) სპეციალისტებმა ფასტფუდს მიანიჭეს — მასში შედის ყველა ის პროდუქტი, რასაც ადუღებულ ზეთში წვავენ, ცხიმს რამდენჯერმე იყენებენ, რაც მასში კანცეროგნებს წარმოშობს. „საპატიო“ მესამე ადგილი (6 ქულა) იაფფასიან ძეხვეულს ერგო — ხშირად ამ პროდუქტში ნატურალური არაფერია და სავსეა საღებავებით, არომატიზატორებითა და სხვა სინთეტიკით, რაც ასევე მავნეა ჯანმრთელობისთვის. მავნე პროდუქტის სიაში მოხვდა ასევე შებოლილი ხორცი და თევზი — მათში ბენზოპირენი — ერთ-ერთი ძლიერი კანცეროგენი გროვდება. ამავე ხარისხით მავნედ მიიჩნიეს კეტჩუპი და მაიონეზი. ეს უკანასკნელი ხშირად კანცეროგენულ სინთეტურ ტრანს-ცხიმებს შეიცავს, კეტჩუპი კი — სინთეტურ დანამატებს, რომელთა უსაფრთხოება დადგენილი არ არის.

სპეციალისტებმა მანვე პროდუქტის რიცხვში შეიყვანეს ასევე ხილი და ბოსტნეული, რომელიც სამრეწველო გამონაბოლქვითაა დაბინძურებული. ასევე ზიანისმომტანია კონსერვანტების შემცველი პროდუქტი, რომელიც ნატრიუმის გლუტამატს შეიცავს — ეს ტოქსიკური ნივთიერებაა და თავისტკივილს, სისხლძარღვების სპაზმს, ნივთიერებათა ცვლის დარღვევას იწვევს. საკონდიტრო ნაწარმის მავნებლობას კი ექსპერტები მათში ცხიმისა და შაქრის დიდი შემცველობით ხსნიან.

მავნე პროდუქტის რეიტინგში შევიდა ასევე კოფეინიანი სტიმულატორები — ყავა და ენერგეტიკული სასმელი. ყავის უსაფრთხო დოზა დღეში 2-3 ფინჯანია, ენერგეტიკული სასმელი კი ყოველდღე არ უნდა დალიოთ. სპეციალისტებმა სახლში დაკონსერვებული პროდუქტის მავნებლობაც აღნიშნეს, რადგან მათ გამო ხშირია ბოტულიზმის შემთხვევები. დაბოლოს, მავნე პროდუქტის რეიტინგში ნაყინიც მოხვდა — ის ხშირად სინთეტურ ნივთიერებებსა და არომატიზატორებს შეიცავს, რაც ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესს აფერხებს.

# ოპერაციისთვის შვილებს იყენებს



ამერიკელმა პლასტიკურმა ქირურგმა საკუთარი ქალიშვილები კლინიკის „მოსიარულე რეკლამად“ აქცია და მათ რეგულარულად უკეთებს ოპერაციებს. დოქტორმა მაიკლ ნიკოლმა უფროსი შვილი პირველად 10 წლის ასაკში დააწვინა საოპერაციო მაგიდაზე და მას არც უმცროსი და ჩამორჩება. გოგონები ნიკოლების წყვილმა ჩვილები იშვილა და ისინი ახლა არა მხოლოდ ფუფუნებაში ცხოვრობენ, არამედ ქირურგიული ტექნოლოგიების მეშვეობით, ფიზიკური სრულყოფილებისკენაც ისწრაფვიან. გარდა მკერდის გადიდების, ცხვირის ფორმის შეცვლის, ლიპოსაქციისა და სხვა ოპერაციებისა, გოგონები რეგულარულად იკეთებენ ბოტოქსისა და ფილინგის პროცედურებს. დედა ნერვიულობდა, რომ გოგონები პლასტიკურ ქირურგიაზე დამოკიდებულები გახდებოდნენ, მამა კი აცხადებს, რომ რადგან ისინი ძვირფასი მანქანით გადაადგილდებიან, მდიდრულ სახლში ცხოვრობენ და ლამაზ ადამიანებთან აქვთ ურთიერთობა, თავადაც შესაბამისად უნდა გამოიყურებოდნენ.



# ჰოროსკოპი
## 28 დეკემბერი

**ვერძი** — არ არის გამორიცხული, მოულოდნელი წინადადება მიიღოთ ან ძველ ბიზნესპარტნიორს შეხვდეთ, დღეს იმ ადამიანების მხარდაჭერასაც იგრძნობთ, ვინც აქამდე თქვენი მოკავშირე არ ყოფილა.

**კურო** — იუმორი ძალიან გამოგადგებათ — თუ კარგ განწყობაზე იქნებით, შესაძლოა, მოულოდნელი საჩუქარიც მიიღოთ, მაგრამ ყველაფერი სპონტანურად უნდა მოხდეს, წინასწარ ნურაფერს დაგეგმავთ.

**ტყუპები** — არსებული წესების დარღვევამ, შესაძლოა, საკმაოდ საშიშ შედეგებამდე მიგიყვანოთ — არაა გამორიცხული, ადვილად დაკარგოთ კოლეგების ნდობა და ხელმძღვანელობის თვალშიც უპრინციპო პიროვნებად წარმოჩინდეთ, ამიტომ ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს.

**კირჩხიბი** — მზად უნდა იყოთ დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსვლისთვის. თქვენი ლოგიკა არ გიღალატებთ, მსმენელამდე პრობლემის არსის მიტანის უნარი კი დაგეხმარებათ, დამაჯერებლად წარმოჩინდეთ.

**ლომი** — ფინანსური პრობლემები მალე მოგვარდება თქვენი ბიზნესპარტნიორების წყალობით. პროფესიონალებთან მუშაობა წარმატებასთან გაახლოებთ, მთავარია, ადამიანების არჩევაში არ შეცდეთ და ნაკლებად გულახდილი იყოთ მათთან, ვისთანაც მხოლოდ საქმე გაკავშირებთ.

**ქალწული** — არ გირჩევთ ვალის აღებას, სჯობს, საკუთარი მოთხოვნები შეზღუდოთ და მსხვილი შენაძენის გასაკეთებლად სასიკეთო პერიოდს დაელოდოთ. კარგი იქნება, თუ თქვენთვის საინტერესო ინფორმაციის შეგროვებით დაკავდებით.

**სასწორი** — სასწორებმა, სჯობს, ზუსტად გაანაწილონ დრო და შეათანხმონ გრაფიკი. შესაძლოა, მნიშვნელოვანი შეხვედრა ჩაიშალოს დაგვიანების გამო. შეეცადეთ, იმედი არ გაუცრუოთ მათ, ვისაც თქვენთან ურთიერთობა ძალიან სჭირდება.

**ღრიანკალი** — სავსებით შესაძლებელია, დიდი დრო დაუთმოთ წესრიგის დამყარებას სახლში ან ოფისში. თქვენს გარეშე ვერც კოლეგები და ვერც შინაურები შეძლებენ მნიშვნელოვან დოკუმენტებში გარკვევას. ნუ იჩქარებთ და ეს საქმე მშვიდად გააკეთეთ.

**მშვილდოსანი** — ინტუიცია განსაკუთრებით გაგიძლიერდებათ. გაგიჩნდებათ ინტერესი ამოუცნობის მიმართ. შესაძლოა, მისტიკური დამთხვევა და მოვლენათა მოულოდნელი განვითარება.

**თხის რქა** — არის რისკი, რომ იმაზე მეტ საქმესა და პასუხისმგებლობას ითავებთ, ვიდრე ამას საქმე მოითხოვს. შედეგად, შესაძლოა, ყველაფერს ვერ გაუმკლავდეთ და ყველაფრის თავიდან დაწყებამ მოგიწიოთ. შეეცადეთ, ადეკვატურად შეაფასოთ საკუთარი შესაძლებლობები.

**მერწყული** — ვარსკვლავები გირჩევენ, მოინახულოთ უჩვეულო ადგილები და მიიღოთ მონაწილეობა სხვადასხვა სემინარებსა და დისკუსიებში, მსგავს შეხვედრებზე ყოფნა წარმატებას მოგიტანთ და შესაძლოა საინტერესო ბიზნესწინადადებაც მიიღოთ.

**თევზები** — თუკი ხელსაყრელი კავშირები გჭირდებათ, გაქვთ შანსი, მხარდაჭერა ძველ ნაცნობებში იპოვოთ. ნუ დაგენანებათ დრო საჭირო ადამიანების, სპონსორების, მფარველებისა თუ პარტნიორების ძებნისთვის — თქვენი შრომა უკვალოდ არ ჩაივლის.

# სანტა-კლაუსს ახალი მარხილი დაუპროექტეს




ცნობილმა საავტომობილო კონცერნებმა გადაწყვიტეს, სანტა-კლაუსზე ეზრუნათ, რომელმაც ერთი ღამის განმავლობაში უამრავ ბავშვს უნდა მიუტანოს საჩუქარი და ძველმოდური მარხილი გადაადგილების თანამედროვე საშუალებით ჩაენაცვლებინათ. Bentley, Ford, Jaguar და Nissan-ის სპეციალისტებმა სანტასთვის ზესწრაფი და თანამედროვე ელექტროსისტემით აღჭურვილი მარხილი შექმნეს, რათა პლანეტის ყველა კუთხეში მოასწროს „მისვლა“ და საჩუქრების დიდი რაოდენობაც დაიტიოს. ახალი მარხილი GPRS–სისტემითაც უზრუნველყვეს, რომ სანტა არ დაიკარგოს.

# სუდოკუმანია

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | | 4 | 6 | | | | |
| 5 | | | | | 3 | | 4 | |
| | | 6 | 7 | | | 9 | | |
| | | 5 | | 4 | | | | 1 |
| | | 4 | | | | 8 | | |
| 8 | | | | 3 | | 5 | | |
| | | 7 | | | 5 | 2 | | |
| | 6 | | 2 | | | | | 5 |
| | | | | 7 | 9 | | 8 | 6 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | | 5 | | | | 2 | |
| | | | | 2 | | | | |
| 2 | 1 | | | 3 | | 6 | | |
| 4 | | | | | | 7 | | |
| | | 2 | 1 | | 6 | 5 | | |
| | | 1 | | | | | | 3 |
| | | 4 | | 1 | | | 9 | 2 |
| | | | | 9 | | | | |
| | 9 | | | | 8 | | 3 | 5 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | 8 | | | | | |
| | 5 | 9 | 4 | | 2 | | | |
| | | 7 | | 1 | | | | |
| | 9 | 3 | | 6 | | | | |
| 2 | | 5 | | | | 9 | | 8 |
| | | | | 2 | | 4 | 6 | |
| | | | | 8 | | 7 | | |
| | | | 6 | | 3 | 2 | 9 | |
| | | | | | 7 | | 4 | |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | 3 | | | 1 | 9 | |
| | 1 | | | 5 | | | | 6 |
| 6 | 7 | | 2 | | | | | 3 |
| | | | | | | | 3 | |
| | | | 4 | | 9 | | | |
| | 6 | | | | | | | |
| 2 | | | | | 1 | | 5 | 4 |
| 9 | | | | 4 | | | 8 | |
| | 4 | 6 | | | 7 | 9 | | |



## ჰოროსკოპი
## 29 დეკემბერი

**ვერძი** — კარგი დღეა ცვლილებებისთვის როგორც პირად, ასევე საქმიან სფეროში. ვარსკვლავები მზად არიან, სასიამოვნო სიურპრიზებით გაგაოცონ. გულთან ახლოს ნუ მიიტანთ ყველაფერს, რაც თქვენს ირგვლივ ხდება.

**კურო** — კუროებს კარგი დღე აქვთ ფინანსური საკითხების გადასაჭრელად. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ნუ გამოავლენთ ჩვეულ სიხისტეს, ამან შესაძლოა, კონფლიქტი გამოიწვიოს.

**ტყუპები** — შესაფერისი დღეა სერიოზული საქმის წამოწყებისთვის, რაც თვითდისციპლინას მოითხოვს, თქვენ კი საკმარისი ცოდნა და გამოცდილება გაქვთ, რომ დასახული ამოცანა წარმატებით გადაჭრათ.

**კირჩხიბი** — დღეს გაცილებით სერიოზულად ხართ განწყობილი. საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებით და იზრდება თქვენი ინტერესი ფილოსოფიისა და რელიგიის მიმართ. ადვილად იჩენთ ახალ ნაცნობებს.

**ლომი** — რთული საქმეებით დაკავება მოგიწევთ, რასაც ბოლომდე მიიყვანთ, მაგრამ ამისთვის დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. დღის მეორე ნახევარი სასურველია, მშვიდ ვითარებაში დასვენებას დაუთმოთ. ორიგინალური იდეებიც გაგიტაცებთ და შესაძლოა, ამან ყოველდღიური მოვალეობები დაგავიწყოთ.

**ქალწული** — ემოციურ აღმაფრენას იგრძნობთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, არ დაკარგოთ სიმშვიდე. შეეცადეთ, თავი აარიდოთ კამათს საყვარელ ადამიანთან და საქმიან შეხვედრასაც ნუ დანიშნავთ.

**სასწორი** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად. სიამოვნებით დაკავდებით სახლის მოწყობით. მზად ხართ, დაეხმაროთ მათ, ვინც რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია.

**ღრიანკალი** — შესაშურ გამბედაობას ავლენთ. მისი წყალობით, მოაგვარებთ საქმეებს, რასაც თქვენი კოლეგები ვერ ახერხებენ. კარგი დღეა ახალი იდეების რეალიზებისთვის, სასარგებლოა ურთიერთობა გავლენიან ადამიანებთან.

**მშვილდოსანი** – დღე პროფესიულ გამარჯვებებს გპირდებათ, კარიერული წინსვლის შანსი გაქვთ. თქვენში ლიდერის თვისებები აშკარად გამოვლინდება. კარგი დღეა საკუთარ ბიზნესპროექტებზე სამუშაოდ.

**თხის რქა** — დღე წარუმატებლად მოგეჩვენებათ, მაგრამ ნელ-ნელა ვითარება იცვლება და საღამოს უკვე ცხადი გახდება, რომ ფორტუნამ არ მიგატოვათ. არსებული პრობლემების გადასაჭრელად შეგიძლიათ, დახმარებისთვის უფროსი ასაკის ადამიანებს მიმართოთ.

**მერწყული** — დღე საკმაოდ წარმატებულია, განსაკუთრებით, პირად ცხოვრებაში. კარგი ურთიერთობა გაქვთ გარშემომყოფებთან, აგვარებთ ბევრ პრობლემას, არ არის გამორიცხული ახალი რომანის დაწყებაც, რაც კარდინალურად შეცვლის თქვენს ცხოვრებას.

**თევზები** — დღე უამრავ ახალ შესაძლებლობას გპირდებათ, შესაძლოა, თავი ძველმა ნაცნობებმა შეგახსენონ, ან საქმიანი ურთიერთობა აღადგინოთ დიდი ხნის პარტნიორებთან. დღე კარგია ნებისმიერი საქმიანობისთვის, რაც თქვენს შემოქმედებით პოტენციალს წარმოაჩენს.



## შაქარი კანის დაბერებას ეწინააღმდეგება



მართალია, მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა უმრავლესობას არ სჯერა, რომ ახალგაზრდობას ბუნებრივი მეთოდით შეინარჩუნებს, მაგრამ მეცნიერთა გამოკვლევები საპირისპიროს ამტკიცებს — გამოვლინდა, რომ კანის უჯრედები შეიცავს შაქარს, ცილას და უფრო რთულ სტრუქტურას, გლიკანებს, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სხვადასხვა დაავადებების მკურნალობისას. გერმანელი მეცნიერების მტკიცებით, სწორედ გლიკანებზეა დამოკიდებული კანის მდგომარეობა და ნაოჭების გაჩენა. ამიტომ მკვლევარები ფიქრობენ, რომ ამ ნაერთის დონე ხელოვნურად უნდა აიწიოს, რათა კანმა დამოუკიდებლად შეძლოს გაახალგაზრდავება.

## ქორწილი ჩაშლას გადაარჩინეს

ინგლისის საგრაფო კენტის მცხოვრები შეყვარებულები დათქმულ დღეს, დიდთოვლობის გამო, დაქორწინებას ვერ ახერხებდნენ, მაგრამ პრობლემის მოგვარებაში რადიომსმენელები დაეხმარნენ. მათ წყვილს საკუთარი ჯიპები ათხოვეს მრავალრიცხოვანი სტუმრებისთვის, რომლებიც უამინდობის გამო რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. 42 წლის კარენ როულინსის თქმით, ძლიერმა თოვამ პატარა სოფელში მდებარე ეკლესიისკენ მიმავალი გზა, სადაც ჯვრისწერა უნდა შემდგარიყო, მთლიანად დაფარა და ძალიან შეშინდა, რომ ქორწილის გადადება მოუწევდა. მან ადგილობრივ რადიოსადგურში დარეკა და საკუთარი გასაჭირი მსმენელს უამბო. კარენის გასაოცრად, რადიომსმენელებმა დახმარების სურვილი გამოთქვეს და ყველა სტუმარი ცერემონიის ადგილამდე საკუთარი მანქანებით მიიყვანეს. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, ლამის მეტყველების უნარი დავკარგე, ყველას მადლობა ვერც კი გადავუხადე სიკეთისთვის. ბევრ რამეზე უარის თქმამ მოგვიწია, მაგრამ მათი წყალობით, ქორწილი მაინც არ ჩაიშალა, — განაცხადა ბედნიერმა პატარძალმა.

## თანამედროვე მამაკაცები არ ღალატობენ

გასაოცარ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი სოციოლოგები, რომელთაც მასშტაბური კვლევა ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენელთა უმრავლესობას ურჩევნია, ოჯახი ჰქონდეს და მისი ერთგული იყოს. ამავდროულად სწავლულებმა ისიც გაარკვიეს, რომ მეგაპოლისების მცხოვრები მამაკაცები საკმაოდ რომანტიკულები არიან და ოცნებობენ, ბევრი შვილი ჰყავდეთ.



## წინა ნომერში გასული სუდოკუს პასუხები

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 3 | 7 | 1 | 6 | 2 | 5 | 4 |
| 6 | 7 | 5 | 3 | 2 | 4 | 1 | 9 | 8 |
| 4 | 2 | 1 | 8 | 9 | 5 | 3 | 7 | 6 |
| 8 | 1 | 7 | 2 | 6 | 3 | 5 | 4 | 9 |
| 2 | 9 | 4 | 5 | 8 | 1 | 7 | 6 | 3 |
| 5 | 3 | 6 | 9 | 4 | 7 | 8 | 2 | 1 |
| 1 | 5 | 2 | 6 | 3 | 9 | 4 | 8 | 7 |
| 7 | 4 | 9 | 1 | 5 | 8 | 6 | 3 | 2 |
| 3 | 6 | 8 | 4 | 7 | 2 | 9 | 1 | 5 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 4 | 9 | 2 | 6 | 5 | 1 | 8 | 7 |
| 2 | 1 | 8 | 9 | 7 | 4 | 6 | 5 | 3 |
| 7 | 6 | 5 | 1 | 8 | 3 | 9 | 2 | 4 |
| 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 8 | 7 | 9 |
| 1 | 2 | 7 | 8 | 5 | 9 | 4 | 3 | 6 |
| 9 | 8 | 3 | 7 | 4 | 6 | 2 | 1 | 5 |
| 8 | 9 | 2 | 6 | 3 | 7 | 5 | 4 | 1 |
| 5 | 7 | 1 | 4 | 9 | 2 | 3 | 6 | 8 |
| 4 | 3 | 6 | 5 | 1 | 8 | 7 | 9 | 2 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 6 | 7 | 1 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 4 | 5 | 7 | 2 | 3 | 6 | 1 | 9 | 8 |
| 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 4 | 7 | 6 | 5 |
| 2 | 8 | 9 | 6 | 7 | 1 | 5 | 4 | 3 |
| 1 | 4 | 5 | 3 | 9 | 2 | 8 | 7 | 6 |
| 7 | 6 | 3 | 5 | 4 | 8 | 2 | 1 | 9 |
| 6 | 7 | 4 | 8 | 5 | 9 | 3 | 2 | 1 |
| 5 | 1 | 2 | 4 | 6 | 3 | 9 | 8 | 7 |
| 9 | 3 | 8 | 1 | 2 | 7 | 6 | 5 | 4 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 3 | 6 | 2 | 5 | 4 | 9 | 1 | 8 |
| 9 | 8 | 1 | 7 | 3 | 6 | 5 | 4 | 2 |
| 2 | 5 | 4 | 9 | 1 | 8 | 7 | 6 | 3 |
| 6 | 4 | 5 | 3 | 9 | 2 | 1 | 8 | 7 |
| 1 | 2 | 9 | 8 | 7 | 5 | 4 | 3 | 6 |
| 3 | 7 | 8 | 6 | 4 | 1 | 2 | 9 | 5 |
| 4 | 9 | 3 | 5 | 6 | 7 | 8 | 2 | 1 |
| 5 | 1 | 2 | 4 | 8 | 3 | 6 | 7 | 9 |
| 8 | 6 | 7 | 1 | 2 | 9 | 3 | 5 | 4 |

# „2013 წლის ადამიანი“ — რიგითი, ქართველი ჯარისკაცია!



## „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატები კაზინო „შანგრი ლა“-ში გამოავლინეს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**24 დეკემბერს, კაზინო „შანგრი ლა“-ში, 2013 წლის „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. წელს, „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატები 12 ნომინაციაში დასახლდნენ, მათგან 11 გამარჯვებული გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდა, ხოლო ერთი ნომინანტი ამ ღონისძიების ორგანიზატორმა, ახალი ამბების სააგენტო „ჯი ეიჩ ენ“-მა დაასახელა. ტრადიციულად, ერთადერთი ნომინაცია, სადაც რესპონდენტებს თავისუფალი არჩევანის საშუალება მიეცათ, ნომინაცია — „წლის ადამიანი“ იყო. სხვა ნომინაციებში, გამოკითხვის ანკეტაში მითითებულნი იყვნენ კონკრეტული კანდიდატები, რომლებიც რეიტინგული გამოკითხვის შედეგად შეირჩნენ. ორგანიზატორების განცხადებით, საქართველოს მასშტაბით, საკონსულტაციო-კვლევითი ჯგუფის — GCG-ის მიერ, 2 735 რესპონდენტი გამოიკითხა. დაჯილდოების ცერემონიალს ღონისძიების გენერალურმა სპონსორმა, კაზინო „შანგრი ლა“-მ უმასპინძლა. ღონისძიების საინფორმაციო მხარდამჭერები იყვნენ საინფორმაციო სააგენტო „ჯი ეიჩ ენი“, ტელეკომპანიები — „რუსთავი 2“ და „ტვ 3“, რადიო „ფორტუნა“, გაზეთები — „პრემიერი“, „ვერსია“, „ქართული სიტყვა“ და ინტერნეტპორტალი „მთავარი.ინფო“.**



## რეზო შატაკიშვილს!




**გილოცავთ დაბადების დღეს! ჯანმრთელობას, ბედნიერებას, კიდევ უფრო მეტ წარმატებას, წინსვლას და ულევ სიხარულს გისურვებთ. ისეთ საქართველოში გეცხოვროს, პოლიტიკოსებზე მწარე-მწარე შარჟების წერის სურვილი გაგიქრეს, სამაგიეროდ კი, კულტურა-ხელოვნებაში იყოს იმდენი საწერ-სალაპარაკო, მუზამ არ მოგასვენოს. სხვა სფეროში მოფარფატე მუზებსაც უხვად გისურვებთ — შენმა სპექტაკლებმა მსოფლიო მოგატაროს, ყველა საოცნებო ქვეყანაში ანშლაგი, „ბრავო“ და „ბისი“ არ მოგკლებოდეს და საქართველოშიც იმ დონეზე დაფასებულად იგრძნო თავი, როგორც დაიმსახურებ და ინატრებ.**

**უფალი იყოს შენი მფარველი!**

***„ვერსიელები“***



სასიამოვნო მუსიკა, ფურშეტი — გამაგრილებელი, ნატურალური წვენებითა და თეთრი თუ წითელი ღვინით, ლამაზი ინტერიერი და მყუდრო გარემო. ასეთ ვითარებაში დასრულდა 2013 წლის „ოქროს პერგამენტის“ ღონისძიება, რომელიც რადიო „ფორტუნას“ წამყვან თათა სადრაძეს მიჰყავდა. 2013 წლის „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატები შემდეგ ნომინაციებში გამოვლინდნენ: წლის ადამიანი, წლის პოლიტიკოსი, წლის ბიზნესმენი, წლის ხელოვანი, წლის ჟურნალისტი, წლის სპორტსმენი, წლის პროექტი, წლის კომპანია, წლის ბრენდი, წლის კომუნიკატორი და „ოქროს პერგამენტის“ საპატიო ლაურეატი.

ნომინაციაში, „წლის კომუნიკატორი“, დასახელებულნი იყვნენ კომპანიები: „ბილაინი“, „კავკასუს ონლაინი“, „მაგთი“, „სილქნეტი“ და „ჯეოსელი“. გამარჯვებულად კი კომპანია „მაგთი“ გამოვლინდა, რომლის წარმომადგენელს, ირაკლი ლობჟანიძეს „ოქროს პერგამენტი“ გადასცეს. ნომინაციაში, „წლის ბრენდი“, დასახელდნენ კომპანიები: „ვენდისი“, „ზედაზენი“, „მაგთისატი“, „მეღვინეობა ხარება“, „ნატახტარი“, „სმარტი“, „სანტე“. ეკონომიკის ექსპერტმა, ლევან კალანდაძემ, გამოკითხულთა გადაწყვეტილებით, ამ ნომინაციაში გამარჯვებულ კომპანია „ზედაზენის“ წარმომადგენელს „ოქროს პერგამენტი“ გადასცა. ნომინაციაში „წლის კომპანია“, „ოქროს პერგამენტი“ ორ კომპანიას — „აირზენასა“ და „პე ეს პე ფარმას“ გადასცეს. 2013 წლის სპორტსმენის ნომინაციაში საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა გაიმარჯვა.

გაზეთ „ვერსიის“ დამფუძნებელმა და მთავარმა რედაქტორმა, მაია ფურცელაძემ ნომინაციაში — 2013 წლის პროექტი, „ოქროს პერგამენტი“ იმ პროექტის ავტორს გადასცა, რომელიც ყოველ პარასკევს, საღამოს 23.00 საათზე, სრულიად საქართველოს მოსახლეობას დიდ სიამოვნებას ანიჭებს. რა თქმა უნდა, „ვერსიის“ რედაქტორმა ჯილდო ვანო ჯავახიშვილს გადასცა, რადგან გამოკითხვის შედეგად, ამ ნომინაციაში წლის პროექტად „ვანოს შოუ“ დასახელდა.

ნომინაციაში, „2013 წლის ხელოვანი“, თაკო ჩარკვიანმა „ოქროს პერგამენტი“ ნანა ექვთიმიშვილსა და საიმონ გროსს გადასცა ფილმისთვის „გრძელი, ნათელი დღეები“. ნომინაციაში „წლის ბიზნესმენი“, „ოქროს პერგამენტი“ „ორბი ჯგუფის“ წარმომადგენელს, ირაკლი კვერღელიძეს გადასცეს. „2013 წლის ჟურნალისტის“ ნომინაციაში, გამოკითხვის შედეგად, გიორგი გაბუნიამ გაიმარჯვა, რომელსაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე, საკმაოდ რეიტინგული თოქ-შოუ „არჩევანი“ მიჰყავს.

„ოქროს პერგამენტის“ საპატიო ლაურეატის წოდება ადამიანის უფლებათა დამცველს, თამარ გურჩიანს მიენიჭა, რომელიც საინფორმაციო სააგენტო „ჯი ეიჩ ენ“-მა გამოავლინა. გამოკითხვის შედეგად, ნომინაციაში — „2013 წლის პოლიტიკოსი“, გამარჯვებულად საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გამოვლინდა.

რაც შეეხება ნომინაციას — „2013 წლის ადამიანი“ — გამოკითხულთა გადაწყვეტილებით, წელს გამარჯვებულად ქართველი ჯარისკაცი გამოვლინდა. შესაბამისად, ყველა, ვინც საქართველოს სამხედრო შეიარაღებულ ძალებში მსახურობს, ამ ნომინაციის საპატიო ლაურეატია! ეს იყო უპრეცედენტო, დამსახურებული და ყველაზე ღირსეული ჯილდო, რისთვისაც „ოქროს პერგამენტის“ ღონისძიების ავტორებს „შანგრი ლა“-ში მიწვეულმა სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს!

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.